

შეთანხმება
პარგნიორობისა და
თანამშრომლობის შესახებ

22 აპრილი 1996 წელი

ბელგიის სამეფო,
ღანიის სამეფო,
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა,
საბერძნეთის რესპუბლიკა,
ესპანეთის სამეფო,
საფრანგეთის რესპუბლიკა,
ირლანდია,
იტალიის რესპუბლიკა,
ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო,
ნიდერლანდების სამეფო,
ავსტრიის რესპუბლიკა,
პორტუგალიის რესპუბლიკა,
შინეთის რესპუბლიკა,
შვედეთის სამეფო,
დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო,

ევროპის გაერთიანების, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების
და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებების
მონაწილე მხარეები,

შემდგომში "წევრ სახელმწიფოებად" წოდებულნი, და

ევროპის გაერთიანება, ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება და
ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, აქ და შემდგომ
წოდებულნი "გაერთიანებად",

ერთი მხრივ, და

საქართველო,

მეორე მხრივ, რომლებიც

მხაველიძეებში ილიან გაერთიანების, მისი წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს კავშირ-ურთიერთობებსა და საერთო ფასეულობებს, რომელთაც ისინი იზიარებენ;

სნობან გაერთიანებისა და საქართველოს სურვილს განამტკიცონ ეს კავშირ-ურთიერთობანი და დააარსონ პარტნიორობა და თანამშრომლობა, რაც გააძლიერებს და გააფართოვებს წარსულში, კერძოდ 1989 წლის 18 დეკემბერს ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და ევროპის აგომურ გაერთიანებას და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის დადებული სავაჭრო, კომერციული და ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმებით გათვალისწინებულ ურთიერთობებს,

ითვალისწინებენ ევროპის გაერთიანებისა და მისი წევრი სახელმწიფოების და საქართველოს ვალდებულებას გააძლიერონ პარტნიორობის ძირითადი საფუძველი – პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებანი;

ითვალისწინებენ მხარეების ვალდებულებას ხელი შეუწყონ საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, აგრეთვე, სადავო საკითხის მშვიდობიან მოგვარებას და ამ მიზნით გაეროსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ფარგლებში თანამშრომლობას;

ითვალისწინებენ გაერთიანებისა და მისი წევრი სახელმწიფოების და საქართველოს მტკიცე გადაწყვეტილებას განახორციელონ ევროთათბირის საბოლოო აქტში, მადრიდისა და ვენის სხდომების დასკვნით დოკუმენტებში, ევროთათბირის ეკონომიკური თანამშრომლობისადმი მიძღვნილი ბონის კონფერენციის დოკუმენტში, ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიასა და ევროთათბირის 1992 წლის ჰელსინკის დოკუმენტის "ცვლილებების პრობლემებში", ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის სხვა ძირითად დოკუმენტებში ჩამოყალიბებული ყველა პრინციპი და დებულება;

სნობან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და გერეგორიული მთლიანობის მხარდაჭერა ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას ევროპაში;

აღიარებენ სამართლის ნორმების, ადამიანის უფლებების, კერძოდ, უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების პაგივისციმას, მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების გზით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მიზნით ეკონომიკის ლიბერალიზაციის უმთავრეს მნიშვნელობას, და ცნობენ საქართველოს ძალისხმევას ამ პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების შესაქმნელად;

სჯარათი, რომ პარტნიორობისა და თანამშრომლობის ამ შეთანხმების სრული განხორციელება, ერთი მხრივ, დამოკიდებულია და მეორეს მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების გაგრძელებას და დასრულებას, აგრეთვე თანამშრომლობისათვის აუცილებელი ფაქტორების გაძლიერებას, განსაკუთრებით, ევროთათბირის ბონის კონფერენციის დასკვნების გათვალისწინებით,

სპრთი ხელი შეუწყონ მეზობელ ქვეყნებთან რეგიონალური თანამშრომლობის პროცესის განვითარებას იმ სფეროებში, რომელსაც მოიცავს ეს შეთანხმება, იმ მიზნით რომ ხელი შეუწყონ რეგიონში კეთილდღეობასა და სტაბილურობას, განსაკუთრებით დაუჭირონ მხარი იმ ინიციატივებს, რომელთა მიზანია ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და სხვა მეზობელ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და ერთმანეთისადმი ნდობის წახალისება;

გამოთქვამენ სპრთის დაამყარონ და განავითარონ რეგულარული პოლიტიკური დიალოგი ორივე მხარისათვის საინტერესო რეგიონალურ და საერთაშორისო საკითხებზე;

გამოთქვამენ სპრთის და მხარს უჭერენ საქართველოს მისწრაფებას დაამყაროს მჭიდრო თანამშრომლობა ევროპულ ინსტიტუტებთან;

ითვალისწინებენ საქართველოში ინვესტიციების ხელშეწყობის საჭიროებას, კერძოდ, ენერჯეტიკის სექტორში და ამ კონტექსტით იმ მნიშვნელობას, რომელსაც გაერთიანება და მისი წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ ენერგობროლუქების მიუკერძოებელ საექსპორტო გრანზისს, ადასტურებენ რომ გაერთიანება და მისი წევრი სახელმწიფოები და საქართველო მიუერთდნენ ევროპის ენერჯეტიკის ქარტიას, და მხარს უჭერენ ენერჯეტიკის ქარტიის შეთანხმებისა და ენერჯეტიკის ქარტიის ენერჯის ეფექტიანობისა და მასთან დაკავშირებული გარემოდაცვითი ასპექტების შესახებ ოქმის სრულ განხორციელებას;

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანება მზად არის საჭიროებისამებრ განახორციელოს ეკონომიკური თანამშრომლობა და გექნევი ღირებულება;

ითვალისწინებენ შეთანხმების სარგებლიანობას საქართველოს, ევროპისა და მეზობელი რეგიონების უფრო ფართო თანამშრომლობის არესთან თანდათანობითი დაახლოვებისათვის და მისი ღია საერთაშორისო სისტემაში პროგრესული ინტეგრაციისათვის;

ითვალისწინებენ მხარეების სურვილს მოახდინონ ვაჭრობის ლიბერალიზაცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წესების შესაბამისად,

ასწავლიან იმ პირობების გაუმჯობესების აუცილებლობას, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესსა და ინვესტიციებზე, და აგრეთვე კომპანიების ჩამოყალიბების, მუშახელის, მომსახურებისა და კაპიტალის მიმოქცევის სფეროებზე;

ღარწმუნებულნი არიან, რომ წინამდებარე შეთანხმება ახალ კლიმატს შექმნის მხარეებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის განსაფართოებლად, განსაუფრებით ვაჭრობისა და ინვესტიციების წახალისების თვალსაზრისით, რაც აუცილებელია ეკონომიკური რესტრუქტურისა და გექნოლოგიური მოდერნიზაციისათვის;

სწავლიან აქვთ დაამყარონ მჭიდრო თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში, მხარეებს შორის ამ სფეროში არსებული ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით;

სწავლიან, რომ არალეგალური იმიგრაციის თავიდან აცილება და კონკრული წარმოადგენს ამ შეთანხმების ერთ-ერთ ძირითად მიზანს;

სწავლიან აქვთ დაამყარონ კულტურული თანამშრომლობა და გააუმჯობესონ ინფორმაციის გაცემა, და

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

წინამდებარე შეთანხმებით დამყარდა პარტნიორობა, ერთი მხრივ, გაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის. ამ პარტნიორობის მიზანია:

- შექმნან მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგისათვის შესაბამისი ჩარჩოები, რაც შესაძლებელს გახდის განვითარდეს მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობები;
- მხარი დაუჭირონ საქართველოს ძალისხმევას მიაღწიოს დემოკრატიის განმტკიცებას, განავითაროს ეკონომიკა და დაასრულოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა;
- ხელი შეუწყონ მხარეებს შორის ვაჭრობას, ინვესტირებას, ჰარმონიული ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას, რაც შესაძლებელს გახდის მათ სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას;
- საფუძველი ჩაუყარონ საკანონმდებლო, ეკონომიკურ, სოციალურ, ფინანსურ, სამოქალაქო-სამეცნიერო, გეგმობრივ და კულტურულ თანამშრომლობას.

I კარი

ზოგადი პრინციპები

მუხლი 2

დემოკრატიის, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების პაგივისცემა, როგორც ეს კერძოდ განსაზღვრულია გაეროს წესდებაში, ჰელსინკის საბოლოო აქტისა და ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიაში, აგრეთვე საბაზრო ეკონომიკისა და ევროთათბირის ბონის კონფერენციის დოკუმენტში ჩამოყალიბებული პრინციპების პაგივისცემა წარმოადგენს მხარეების სამინაო და საგარეო პოლიტიკის და პარტნიორობისა და ამ შეთანხმების ძირითად ელემენტებს.

მუხლი 3

მხარეებს მიაჩნიათ, რომ მათი მომავალი კეთილდღეობისა და სტაბილურობისათვის არსებითად მნიშვნელოვანია, რათა ახლად შექმნილმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, რომლებიც წარმოიშვნენ ან აღადგინეს თავიანთი დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (აქ და შემდგომ ნახსენები იქნება როგორც "დამოუკიდებელი სახელმწიფოები"), შეინარჩუნონ და განავითარონ თანამშრომლობა ჰელსინკის საბოლოო აქტისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების სულიკვეთებით, და ყველაფერი იღონონ, რათა ბიძგი მისცენ ამ პროცესს.

მუხლი 4

მხარეები, საჭიროებისამებრ, განიხილავენ მოვლენების განვითარებას საქართველოში, განსაკუთრებით, რაც ეხება იქაურ ეკონომიკურ ვითარებას და საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას. ამ პირობების გათვალისწინებით თანამშრომლობის საბჭომ შეიძლება მხარეებს გაუწიოს რეკომენდაციები შეთანხმების ნებისმიერი ნაწილის შემდგომი განვითარების შესახებ.

II კარი

პოლიტიკური დიალოგი

მუხლი 5

მხარეებს შორის გაიმართება რეგულარული პოლიტიკური დიალოგი, რომელიც მხარეებს განზრახული აქვთ განაწილონ და გააღრმავონ. იგი ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს გაერთიანებისა და საქართველოს დაახლოვებას, მხარს დაუჭერს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს და დააჩქარებს თანამშრომლობის ახალი ფორმების დამკვიდრებას. პოლიტიკური დიალოგი:

- ორივე მხარის ინტერესების შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს კავშირს გაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებთან, დემოკრატიული ქვეყნების თანამეგობრობასთან. ამ შეთანხმების მეშვეობით მიღწეული ეკონომიკური კონვერგენცია ხელს შეუწყობს უფრო ინტენსიურ პოლიტიკურ ურთიერთობებს;
- გამოიწვევს ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო საკითხების შესახებ პოზიციების მზარდ დაახლოვებას, რითაც გააძლიერებს უშიშროებასა და სტაბილურობას რეგიონში და ხელს შეუწყობს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების მომავალ განვითარებას;
- გაითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მხარეები ცდილობენ ითანამშრომლონ ევროპაში უშიშროებისა და სტაბილურობის გაძლიერების, დემოკრატიის პრინციპების დაცვის, ადამიანის, განსაკუთრებით უმცირესობათა უფლებების პატივისცემისა და მათ ხელშეწყობასთან დაკავშირებულ საკითხებში და, საჭიროებისამებრ, გამართავენ კონსულტაციებს შესაბამისი პრობლემების თაობაზე.

ასეთი დიალოგი შეიძლება გაიმართოს რეგიონალურ საფუძველზე, რეგიონალური დამხმარებისა და კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 6

პოლიტიკური დიალოგი მინისკრების დონეზე გაიმართება თანამშრომლობის საბჭოში, რომელიც შეიქმნა 81-ე მუხლის თანახმად. სხვა შემთხვევებში ეს მოხდება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 7

მხარეები შექმნიან პოლიტიკური დიალოგის სხვა პროცედურებსა და მექანიზმებს, კერძოდ, შემდეგი ფორმებით:

- რეგულარული შეხვედრები მაღალი თანამდებობის პირთა დონეზე, ერთი მხრივ, გაერთიანებისა და მისი წევრი სახელმწიფოებისა და, მეორე მხრივ, საქართველოს წარმომადგენლებს შორის;
- ისარგებლებენ მხარეებს შორის არსებული ყველა დიპლომატიური არხით, მათ შორის ორმხრივ, მრავალმხრივ სფეროებში მოქმედი კონტაქტებით, როგორცაა გაეროსა და ეუთო-ს შეხვედრები და სხვა;
- სხვა დანარჩენი საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს დიალოგის განმტკიცებასა და განვითარებას, მათ შორის ექსპერტების დონეზე.

მუხლი 8

პოლიტიკური დიალოგი საპარლამენტო დონეზე გაიმართება საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის ფარგლებში, რომელიც შექმნილია შეთანხმების 86-ე მუხლის თანახმად.

III კარი

სასაქონლო ვაჭრობა

მუხლი 9

1. მხარეები მიანიჭებენ ერთმანეთს ყველა სფეროში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს შემდეგი მიმართულებებით:
 - საბაჟო მოსაკრებელი და გადასახდელი, გამოყენებული იმპორტისა და ექსპორტისათვის, მათი შეგროვების მეთოდის გათვალისწინებით,
 - დებულებები, რომლებიც ეხება საბაჟო კლირინგს, გრანზიტს, დასაწყობებასა და გადმოგვირთვას,
 - ნებისმიერი სახეობის ბაჟი და სხვა შიდა გადასახდელი, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიყენება იმპორტული საქონლისათვის,
 - ანგარიშსწორების ფორმები და ასეთი ანგარიშსწორებათა გრანსფერი,
 - საშინაო ბაზარზე საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან, გრანსპორტირებასთან, განაწილებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული წესები.
2. პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება:
 - ა) იმ უპირატესობათა მიმართ, რომლებიც გაიცემა საბაჟო კავშირის, ან თავისუფალი ზონის შექმნის მიზნით, ან შესაბამისად, საბაჟო კავშირის და ასეთი ზონის შექმნისათვის;
 - ბ) იმ უპირატესობათა მიმართ, რომლებიც განსაზღვრულია განვითარებადი ქვეყნებისათვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებისა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად და ენიჭება ზოგიერთ ქვეყანას;
 - გ) იმ უპირატესობათა მიმართ, რომლებიც ეხება მომიჯნავე ქვეყნებს სასაზღვრო ვაჭრობის მხარდაჭერის მიზნით.
3. პირველი პუნქტის დებულებები არ ეხება იმ უპირატესობებს, რომლებიც განსაზღვრულია I დანართში, და რომლებიც საქართველომ მიანიჭა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილ სახელმწიფოებს. ზემოაღნიშნული ეხება გარდამავალ პერიოდს, რომლის დასრულების ვადა არის მსო-სთან საქართველოს მიერთების თარიღი ან 1998 წლის 31 დეკემბერი, იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო ადრე შესრულდება.

მუხლი 10

1. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საგრანზიტო გადაადგილების თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს შეთანხმების მიზნების განხორციელების აუცილებელ პირობას.

ამ თვალსაზრისით ყოველი მხარე უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე, იმ საქონლის შეუზღუდავ გრანზიტს, რომლის წარმოშობის ან დანიშნულების ადგილი არის მეორე მხარის საბაჟო ტერიტორია.
2. გაგ-ის მე-5 მუხლში აღნიშნული წესები (პარ. 2, 3 და 4) გამოიყენება ორივე მხარეს შორის.
3. ამ მუხლის წესები არ ეწინააღმდეგება იმ სპეციალურ წესებს, რომლებიც შეეხება განსაკუთრებულ სექტორებს, კერძოდ, მხარეებს შორის შეთანხმებულ გრანსპორტისა და საქონლის სექტორებს.

მუხლი 11

იმ საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებული უფლება-ვალდებულებების ყოველგვარი შელახვის გარეშე, რომლებიც ეხება საქონლის დროებით შეღწევას და რომლებიც ორივე მხარეს ავალდებულებს, რომ თითოეულმა გარკვეული შემთხვევების დროს და ამ საკითხზე არსებული სხვა საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებული პროცედურების თანახმად, თავისი კანონმდებლობის შესაბამისად გაანთავისუფლოს მეორე მხარე დროებით გადმოცემულ საქონელზე საიმპორტო გადასახდელისა და მოსაკრებელისაგან, ანგარიში გაეწევა იმ პირობებს, რომელთა მიხედვითაც ასეთი კონვენციით გათვალისწინებულ მოვალეობებს დაეთანხმება მეორე მხარე.

მუხლი 12

1. საქართველოში წარმოებული საქონლის იმპორტი ვეროპაში თავისუფლდება რაოდენობრივი შეზღუდვებისაგან და არ ეწინააღმდეგება წინამდებარე შეთანხმების მე-14, მე-17 და მე-18 მუხლებს.
2. გაერთიანებაში წარმოებული საქონლის იმპორტი საქართველოში თავისუფლდება რაოდენობრივი შეზღუდვების ან მსგავსი ეფექტის მქონე საშუალებებისაგან და არ ეწინააღმდეგება ამ შეთანხმების მე-14 მუხლს.

მუხლი 13

მხარეებს შორის საქონლით ვაჭრობა განხორციელდება საბაზრო ფასების საფუძველზე.

მუხლი 14

1. თუ ერთი მხარის გერიგორიაზე იმპორტირებულია პროდუქტი იმდენად დიდი რაოდენობით და ისეთი პირობებით, როდესაც ბიანდება ან დაზიანების საფრთხე ექმნება მსგავსი ან უშუალოდ კონკურირებადი პროდუქციის შიდა წარმოებას, გაერთიანებას და საქართველოს (რომელი მათგანიც დაინგერესებულია), შეუძლიათ მიიღონ შესაბამისი ზომები შემდეგი პროცედურებისა და პირობების თანახმად.
2. ზომების მიღებამდე, ან იმ შემთხვევაში, რომელსაც შეეხება მე-4 პუნქტი, რაც შეიძლება სწრაფად გაერთიანება და საქართველო (ნებისმიერი მათგანი) მიაწოდებენ თანამშრომლობის კომიტეტს შესაბამის ინფორმაციას ორივე მხარისათვის მისაღები შეთანხმების მიღწევის მიზნით, როგორც გათვალისწინებულია XI კარში.
3. თუ თანამშრომლობის კომიტეტში საქმის შეგანიდან 30 დღის განმავლობაში კონსულტაციების შედეგად მიღწეული არ იქნება გადაწყვეტილება შექმნილი სიგუაციის აღსაკვეთად, კონსულტაციების მომთხოვნ მხარეს შეუძლია შეზღუდოს შესაბამისი საქონლის იმპორტი იმ მასშტაბით და იმ დროით, რომელიც აუცილებელია ბიანის თავიდან ასაცილებლად ან მის გამოსასწორებლად, ან მიიღოს სხვა შესაბამისი ზომები.
4. საგანგებო შემთხვევების დროს, როდესაც დაგვიანებას შეიძლება მოჰყვეს ძნელად გამოსასწორებელი ზიანი, მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ზომები კონსულტაციებამდე იმ პირობით, რომ ასეთი კონსულტაციები დაუყოვნებლივ მოეწყობა ზომების მიღების შემდეგ.

5. ამ მუხლის დებულებების თანახმად, ზომების შერჩევისას მხარეები უპირატესობას მიანიჭებენ იმ ზომებს, რომლებიც შეთანხმების მიზნების შესრულებისათვის ყველაზე ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ.
6. ამ მუხლის ვერც ერთი დებულება ვერ მოახდენს გავლენას ერთ-ერთი მხარის მიერ ანგვიდემპინგური ან სხვა საკომპენსაციო ზომების მიღებაზე გაგ-ის მე-6 მუხლის შესაბამისად, გაგ-ის მე-6 მუხლის განხორციელებაზე შეთანხმების, გაგ-ის VI, XVI და XXIII მუხლების ინტერპრეტაციასა და გამოყენებაზე შეთანხმების ან შესაბამისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15

მხარეები კისრულობენ ვალდებულებას გაითვალისწინონ შეთანხმების იმ დებულებების შემდგომი განვითარება, რომლებიც ეხება მათ შორის საქონლით ვაჭრობის განვითარებას, კერძოდ ის სიგუაცია, რომელიც წარმოიშობა მსო-სთან (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) საქართველოს მიერთების შემთხვევაში. თანამშრომლობის საბჭოს შეუძლია მხარეებს მისცეს რეკომენდაციები ასეთ განვითარებასთან დაკავშირებით. მისაღები რეკომენდაციები შეიძლება ამოქმედდნენ მხარეთა შორის არსებული შეთანხმების შესაბამისი პროცედურების თანახმად.

მუხლი 16

შეთანხმება არ გამორიცხავს საქონლის იმპორტის, ექსპორტისა და გრანზიგისათვის არსებულ აკრძალვებსა და შეზღუდვებს საზოგადოებრივი მორალის, საზოგადოებრივი პოლიტიკისა და საზოგადოებრივი უშიშროების საფუძველზე, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, ცხოველთა და მცენარეთა, ბუნებრივი რესურსების დაცვის საფუძველზე, მხაგვრული, ისტორიული და არქეოლოგიური ძირებულების მქონე ეროვნული განძების, ინგელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების დაცვის ან ოქროსა და ვერცხლთან დაკავშირებული კანონების საფუძველზე. მიუხედავად ამისა, მხარეთა შორის ვაჭრობისას ასეთი შეზღუდვები და აკრძალვები მხარეებისათვის არ წარმოადგენს უპრინციპო დისკრიმინაციის ან ფარული შეზღუდვის საშუალებას.

მუხლი 17

ეს კარი არ შეეხება საფეიქრო პროდუქციით ვაჭრობას, რომელიც ექცევა კომბინირებული ნომენკლატურის 50-63 თავების მოქმედების სფეროში. ამ ნაწარმით ვაჭრობა განხორციელდება ცალკე შეთანხმებით, რომელიც პარაფირებულია 1995 წლის 22 დეკემბერს და დროებით გამოიყენება 1996 წლის 1 იანვარიდან.

მუხლი 18

1. იმ პროექტით ვაჭრობა, რომელიც ხვდება ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მოქმედების არეში, განხორციელდება ამ კარის მუხლების მიხედვით, მე-12 მუხლის გამოკლებით.
2. ქვანახშირსა და ფოლადთან დაკავშირებული საკითხების გამო შეიქმნება საკონტაქტო ჯგუფი, რომელშიც შევლენ, ერთი მხრივ, გაერთიანების წარმომადგენლები და, მეორე მხრივ, საქართველოს წარმომადგენლები.

საკონტაქტო ჯგუფი რეგულარულად გაცვლის მხარეთათვის საინგერესო ინფორმაციას ქვანახშირსა და ფოლადთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 19

ბირთვული მასალით ვაჭრობა წარიმართება ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად. აუცილებლობის შემთხვევაში, ბირთვული მასალით ვაჭრობა იქნება ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და საქართველოს შორის შესაბამისი შეთანხმების საგანი.

კარი IV

ბიზნესსა და ინვესტიციებთან დაკავშირებული დებულებები

I თავი

შრომითი პირობები

მუხლი 20

1. წევრ სახელმწიფოებში არსებული კანონების, პირობებისა და წესების მიხედვით გაერთიანება და მისი წევრი ქვეყნები უზრუნველყოფენ, რომ თითოეული წევრი-სახელმწიფოს გერიგორიაზე კანონის შესაბამისად მომუშავე საქართველოს მოქალაქეების მიმართ არ განხორციელდეს თავიანთ მოქალაქეებთან შედარებით დისკრიმინაცია ეროვნულ საფუძველზე შრომითი პირობების, ანაზღაურების ან სამუშაოლან განთავისუფლების სფეროში.
2. საქართველოში არსებული კანონების, პირობებისა და წესების თანახმად საქართველო უზრუნველყოფს, რომ მის გერიგორიაზე კანონის შესაბამისად მომუშავე კავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების მიმართ არ განხორციელდეს თავის მოქალაქეებთან შედარებით დისკრიმინაცია ეროვნულ საფუძველზე შრომითი პირობების, ანაზღაურების ან სამუშაოლან განთავისუფლების სფეროში.

მუხლი 21

თანამშრომლობის საბჭო განიხილავს, თუ რა სახის ცვლილებები შეიძლება იქნეს მიღებული ბიზნეს-მენების შრომითი პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით მხარეთა საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის ევროთათბირის ბონის კონფერენციის დოკუმენტის დებულებების საფუძველზე.

მუხლი 22

თანამშრომლობის საბჭო მიიღებს რეკომენდაციებს მე-20 და 21-ე მუხლების განხორციელების შესახებ.

II თავი

კომპანიების დაფუძნებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული პირობები

მუხლი 23

1. გაერთიანება და მისი წევრი სახელმწიფოები საქართველოს კომპანიების დაფუძნებისათვის, 25-ე (დ) მუხლის თანახმად, თავიანთ გერიგორიაზე აწესებენ რეჟიმს, რომელიც ნე-

ბისმიერი მესამე ქვეყნის კომპანიებისათვის მინიჭებულ რეჟიმზე არანაკლები უპირატესობით ხასიათდება.

2. IV დანართში ჩამოთვლილ შეზღუდვებს არ ეწინააღმდეგება ის რომ, გაერთიანება და მისი წევრი სახელმწიფოები თავიანთ გერიგორიაზე საქმიანობისათვის საქართველოს კომპანიების შვილეულ საწარმოებს ანიჭებენ გაერთიანების კომპანიებზე არანაკლები უპირატესობის რეჟიმს.
3. გაერთიანება და მისი წევრი სახელმწიფოები თავიანთ გერიგორიაზე საქმიანობისათვის საქართველოს ფილიალებს ანიჭებენ ნებისმიერი მესამე ქვეყნის კომპანიების ფილიალებზე არანაკლები უპირატესობის რეჟიმს.
4. საქართველო თავის გერიგორიაზე დაფუძნებისათვის გაერთიანებისა და მისი წევრი სახელმწიფოების კომპანიებს, 25-ე (დ) მუხლის თანახმად, ანიჭებს მისი ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის კომპანიებზე, რომელიც მათგანიც უკეთესია, არანაკლები უპირატესობის რეჟიმს, და თავის გერიგორიაზე საქმიანობისათვის გაერთიანებისა და მისი წევრი სახელმწიფოების კომპანიების შვილეულ საწარმოებსა და ფილიალებს ანიჭებს, შესაბამისად, თავისი ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის კომპანიებისა და ფილიალებზე, რომელიც მათგანიც უკეთესია, არანაკლები უპირატესობის რეჟიმს, რაც არ ეწინააღმდეგება V დანართში ჩამოთვლილ შეზღუდვებს და ითვალისწინებს იქ აღწერილ პირობებს.

მუხლი 24

1. 23-ე მუხლის დებულებები არ ეწინააღმდეგება მე-100 მუხლს და არ შეეხება საპაერო გრანსპორტს, შიდა წყალსანაოსნო გრანსპორტს და საზღვაო გრანსპორტს.

მიუხედავად ამისა, სანაოსნო სააგენციების საქმიანობის გათვალისწინებით, რომლის მიზანია საერთაშორისო საზღვაო საგრანსპორტო მომსახურების, მათ შორის ინტერმოდალური საგრანსპორტო საქმიანობის უზრუნველყოფა და რომლებშიც შედის გვირგვინის საზღვაო მონაკვეთი, ყოველი მხარე ნებას რთავს მეორე მხარის კომპანიებს მის გერიგორიაზე კომერციული საქმიანობისა ფილიალების ან შვილეული საწარმოების სახით, თავისი კომპანიების ან ნებისმიერი მესამე მხარის კომპანიების ან შვილეული საწარმოების ან ფილიალებისათვის არსებული პირობებისა და რეჟიმის, რომელიც უკეთესია, არანაკლები უპირატესობის პირობებისა და რეჟიმის საფუძველზე.

3. ასეთი საქმიანობა მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება ისეთი სფეროებით, როგორცაა:
 - (ა) საზღვაო გრანსპორტის და მასთან დაკავშირებული მომსახურების მარკეტინგი და გაყიდვა ქვოგირებიდან ფაქტურამდე, მომხმარებლებთან უშუალო კონტაქტის საფუძველზე, ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ასეთი მომსახურება იწარმოება ან შემოთავაზებული არის თავად სერვისის მიმწოდებლის ან სერვისის ისეთ მიმწოდებლების მიერ, რომელთანაც სერვისის გამყიდველს დამყარებული აქვს მუდმივი საქმიანი ურთიერთობები.
 - (ბ) გრანსპორტის ან მასთან დაკავშირებული მომსახურების ყიდვა და გამოყენება პირადად ან მომხმარებელთა სახელით (ან მომხმარებლებისათვის კვლავ მიყიდვა), კერძოდ, ყველა სახეობის შიდა საგრანსპორტო მომსახურება, განსაკუთრებით შიდა წყალსანაოსნო, საგზაო და სარკინიგზო გრანსპორტის მომსახურება აუცილებელია ინტეგრირებული სერვისით უზრუნველყოფისათვის;
 - (გ) საგრანსპორტო და საბაჟო ან სხვა სახის ღოკუმენტების მომზადება, რომლებიც დაკავშირებულია გრანსპორტირებული საქონლის წარმოშობასა და ხასიათთან;

- (დ) ნებისმიერი საშუალებებით საქმიანი ინფორმაციით, მათ შორის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემითა და ელექტრონული მონაცემებით უზრუნველყოფა (ექვემდებარება გელეკომუნიკაციების სფეროში არადისკრიმინაციული ხასიათის ნებისმიერ შეზღუდვებს);
- (ე) ნებისმიერ ადგილობრივ სანაოსნო სააგენგოსთან საქმიანი შეთანხმების დადება, საზოგადოების აქციებში წილობრივი მონაწილეობისა და ადგილზე დაქირავებული პერსონალის დანიშვნის (უცხოელი პერსონალის შემთხვევაში, ეს არის ამ შეთანხმების შესაბამისი დებულებების საგანი) ჩათვლით.
- (ვ) იმ კომპანიების სახელით მოქმედება, რომლებიც, *inter alia*, ორგანიზაციას უწყვენ გემის გამოძახებას ან მოთხოვნისას იღებენ გვირს.

მუხლი 25

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის:

- ა) "გაერთიანების კომპანია" ან "საქართველოს კომპანია" გულისხმობს შესაბამისად წევრი სახელმწიფოს, ან საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაფუძნებულ კომპანიას, რომელსაც აქვს რეგისტრირებული ოფისი ან ცენტრალური ადმინისტრაცია ან საქმიანობის ძირითადი ადგილსამყოფელი შესაბამისად გაერთიანების ან საქართველოს გერიგორიაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც გაერთიანების ან საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაფუძნებულ კომპანიას რეგისტრირებული აქვს მხოლოდ ოფისი შესაბამისად გაერთიანების ან საქართველოს გერიგორიაზე, კომპანია მიიჩნევა შესაბამისად გაერთიანების ან საქართველოს კომპანიად, თუ მის საქმიანობას აქვს საფუძვლიანი და უწყვეტი ხასიათის კავშირი შესაბამისად გაერთიანების ან საქართველოს ეკონომიკასთან.
- ბ) "შვილეული კომპანია" არის კომპანია, რომელსაც მთავარი კომპანია აკონტროლებს.
- გ) "ფილიალი" ნიშნავს მუდმივი კომერციული საქმიანობის ისეთ ადგილს, რომელიც არ არის იურიდიული პირი, ისეთი როგორცაა მეთაური კომპანიის გაფართოება, აქვს მენეჯმენტი, მაგერიალურად უზრუნველყოფილია და შეუძლია აწარმოოს ბიზნესი მესამე მხარესთან იმის გათვალისწინებით, რომ მიუხედავად საჭიროების შემთხვევაში ამ უკანასკნელის საშუალებისა განახორციელოს სამართლებრივი კავშირი საზღვარგარეთ არსებული მეთაური კომპანიის მთავარ ოფისთან, მას შეუძლია მეთაურ კომპანიასთან პირდაპირი ურთიერთობის გარეშე აწარმოოს ბიზნესი აღნიშნულ კომერციული საქმიანობის ადგილთან.
- დ) "დაფუძნება" ნიშნავს გაერთიანების ან საქართველოს კომპანიების უფლებას, (ა) პუნქტის თანახმად, განახორციელონ ეკონომიკური საქმიანობა შვილეული საწარმოების ან ფილიალების საშუალებით შესაბამისად საქართველოსა და გაერთიანებაში.
- ე) "ოპერაცია" ნიშნავს ეკონომიკური საქმიანობის წარმოებას.
- ვ) "ეკონომიკური საქმიანობა" ნიშნავს სამრეწველო, კომერციული და პროფესიული ხასიათის საქმიანობას.

საერთაშორისო საზღვაო გრანსპორტზე ინტერმოდალურ ოპერაციებში, რომლებშიც შედის საზღვაო გვირთბიძვა, წევრი სახელმწიფოების ან საქართველოს მოქალაქეები, შესაბამისად გაერთიანების ან საქართველოს ფარგლებს გარეთ და ის სანაოსნო კომპანიები, რომლებიც განლაგებული არიან გაერთიანების ან საქართველოს ფარგლებს გარეთ და რომლებსაც, შესაბამისად წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს მოქალაქეები აკონტროლებენ, ისარგებლებენ ამ თავისა და III თავის დებულებე-

ბით, თუ მათი გეგმები შესაბამისად რეგისტრირებულია წევრ სახელმწიფოებსა ან საქართველოში მათი შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 26

1. შეთანხმების სხვა დებულების მიუხედავად, მხარეს არ აეკრძალება მიიღოს კეთილგონიერებით ნაკარნახევი შესაბამისი ზომები, მათ შორის, ინვესტორების, დეპოზიტორების, სადაზღვევო პოლისის მფლობელების ან იმ პირების დაცვის მიზნით, რომელთაც სამეურვეო მოვალეობა მიანიჭეს ფინანსური მომსახურების მომწოდებელს, ან ფინანსური სისტემის მთლიანობისა და სტაბილურობის გარანტირების მიზნით. როდესაც ეს ზომები არ შეესაბამება წინამდებარე შეთანხმების დებულებებს, იგი არ გამოიყენება იმის საშუალებად, რომ მხარემ თავიდან აიცილოს წინამდებარე შეთანხმების თანახმად ნაკისრი მოვალეობები.
2. შეთანხმება არ მიიჩნევა მხარეთა მოვალეობად, გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელიც ეხება ინდივიდუალური მომხმარებლების საქმეებსა და ანგარიშებს ან საბოგალოებების კონფიდენციალურ და საკუთრებასთან დაკავშირებულ მონაცემებს.
3. ამ შეთანხმების მიზნებისათვის "ფინანსური მომსახურება" ნიშნავს ქმედებას, რომლებიც აღწერილია III დანართში.

მუხლი 27

წინამდებარე შეთანხმების დებულებები არ ეწინააღმდეგება იმას, რომ თითოეულმა მხარემ გამოიყენოს ნებისმიერი ზომა, რათა თავიდან აიცილოს ამ შეთანხმების დებულებების გამოყენების გზით მის ბაზარზე შესაძლებელი ქვეყნის შეღწევის შესაძლებლობა.

მუხლი 28

1. ამ კარის 1-ლი თავის დებულებების მიუხედავად, შესაბამისად გაერთიანების ან საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული კომპანია საქართველოს ან გაერთიანების ტერიტორიაზე შესაბამისად, უფლებამოსილია სამუშაოზე აიყვანოს, ან შეიღებულ კომპანიას ან ფილიალს სამუშაოზე ააყვანოს დაფუძნების მასპინძელი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს და გაერთიანების ტერიტორიაზე მომსახურებები – შესაბამისად გაერთიანების წევრი სახელმწიფოების და საქართველოს მოქალაქეები იმ პირობით, რომ ასეთი მომსახურებები წარმოადგენენ ძირითად პერსონალს, როგორც ეს ამ მუხლის მე-2 პარაგრაფშია, და ისინი დაქირავებულნი არიან ამ კომპანიების და ფილიალების მიერ. ამ პირობა ქვეყანაში ცხოვრებისა და მუშაობის ნებართვები ძალაში რჩება მხოლოდ სამუშაო კონტრაქტის მოქმედების პერიოდში.
2. ზემოხსენებული კომპანიების (აქ და შემდგომ "ორგანიზაციებად" წოდებულნი) ძირითადი პერსონალი წარმოადგენს ცესიონარს, ამ მუხლის (გ) პუნქტით კაგეგორიებად განსაზღვრულს იმ პირობით, რომ ასეთი ორგანიზაციები არიან იურიდიული პირი, აღნიშნული პერსონალი იყო დაქირავებული ან სარგებლობდა პარგნიორის უფლებით (ძირითადი აქციონერებისაგან განსხვავებული), ამგვარ გადაადგილებამდე სულ ცოცხა ერთი წლით ადრე.
 - ა) პირები, რომლებიც მუშაობენ ორგანიზაციაში, უკავიათ მაღალი თანამდებობები და ძირითადად მართავენ ორგანიზაციის მენეჯმენტს, გენერალურ მეთვალყურეობას აკისრებენ ან მიმარ-

თულებას მიუთითებენ დირექტორთა საბჭო, ან ასეთი საქმიანობის აქციონერები ან მათი ეკვივალენტი, ისეთების ჩათვლით, რომლებიც:

- მართავენ ორგანიზაციას ან ლეპარგამენგს, ან ორგანიზაციის ქვესაწარმოს;
 - მეთვალყურეობენ და აკონტროლებენ სხვა მეთვალყურეობითი, პროფესიული ან მმართველობითი მომსახურის მუშაობას;
 - აქვთ უფლებამოსილება პირადად იქირავონ და სამსახურიდან გაათავისუფლონ, ან გაუწიონ რეკომენდაცია ქირაობის და სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, ან შეასრულონ სხვა პირადი ქმედებანი;
- ბ) პირები, რომლებიც მუშაობენ ორგანიზაციაში და აქვთ ორგანიზაციის მომსახურების, კვლევით-სათვის საჭირო მოწყობილობის, გექნივისა ან მენეჯმენტისათვის აუცილებელი ცოდნა. ამ ცოდნის შეფასებამ, ორგანიზაციისათვის საჭირო ცოდნის გარდა, შეიძლება გამოავლინოს კვალიფიკაციის მაღალი დონე ასეთ სამუშაოებთან ან საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ გექნივურ ცოდნას, აღიარებულ პროფესიათა ჩათვლით.
- გ) "ცესიონარი" განსაზღვრულია როგორც მოქალაქე, რომელიც მუშაობს ორგანიზაციაში ერთი მხარის გერიგორიაზე და ღრობით გადაადგილებულია მეორე მხარის გერიგორიაზე ეკონომიკურ საქმიანობის მიზნით; შესაბამის ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საქმიანობის ძირითადი ადგილი ერთი მხარის გერიგორიაზე, და გადაადგილება უნდა მოხდეს იმ ფილიალში ან შვილეულ კომპანიაში, რომელიც ფაქტობრივად აწარმოებს ეკონომიკურ საქმიანობას მეორე მხარის გერიგორიაზე.

მუხლი 29

1. მხარეები მაქსიმალურად ეცდებიან არ მიმართონ იმაზე უფრო მეტსა და ქმედებას (აღნიშნული ღონისძიებები ეხება ერთმანეთის კომპანიების დაფუძნებასა და მოქმედებას), რომლებიც მიღებული იყო შეთანხმების ხელმოწერის თარიღამდე ერთი დღით ადრე.
2. ამ მუხლის დებულებები არ ეწინააღმდეგება 37-ე მუხლის დებულებებს, და 37-ე მუხლით გათვალისწინებულ სიგუაცეებში გამოყენებული იქნება მხოლოდ 37-ე მუხლის დებულებები.
3. პარგნიორობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებიდან გამომდინარე და 43-ე მუხლის დებულებების თანახმად, საქართველოს მთავრობა იმ შემთხვევაში, თუ იგი აპირებს მიიღოს ისეთი ხასიათის ახალი კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც საქართველოს გერიგორიაზე მოქმედ გაერთიანების კომპანიების ფილიალებსა და შვილეულ საწარმოებს შეუქმნის იმაზე უფრო შემზღულდველ რეჟიმს, ვიდრე არსებობდა შეთანხმების ხელმოწერამდე ერთი დღით ადრე, აცნობებს გაერთიანებას ამ განზრახვას. გაერთიანებამ შეიძლება სთხოვოს საქართველოს გადასცეს ამ კანონებისა და რეგულირებების პროექტები და მოაწყოს კონსულგაციები ამ საკითხთან დაკავშირებით.
4. თუ მიღებულ იქნება ახალი კანონმდებლობა ან კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც შეუქმნიან საქართველოს გერიგორიაზე მოქმედ გაერთიანების კომპანიების ფილიალებსა და შვილობილ საწარმოებს იმაზე უფრო შემზღულდველ რეჟიმს, ვიდრე არსებობდა შეთანხმების ხელმოწერამდე ერთი დღით ადრე, ეს კანონები, ძალაში შესვლის დღიდან სამი წლის განმავლობაში არ გავრცელდება იმ ფილიალებსა და შვილეულ საწარმოებზე, რომლებიც შესაბამისი კანონის მიღებამდე უკვე არსებობდნენ საქართველოს გერიგორიაზე.

III თავი

გაერთიანებასა და საქართველოს შორის სასაზღვრო მომსახურების უზრუნველყოფა

მუხლი 30

1. ამ თავის დებულებების თანახმად, მხარეები განახორციელებენ აუცილებელ ზომებს, რათა გაერთიანების და საქართველოს კომპანიებმა უზრუნველყონ პროგრესირებადი სერვისი იმ პირისათვის, რომელიც არ მიეკუთვნება კომპანიის დამაარსებელ მხარეს, აგრეთვე მხედველობაში მიიღება მხარეთა მომსახურების სექტორების განვითარება.
2. თანაშრომლობის საბჭო მისცემს რეკომენდაციებს ამ მუხლის პირველი პუნქტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 31

მხარეები ითანამშრომლებენ საქართველოს საზღვრო ხასიათის მომსახურების სექტორის განვითარების მიზნით.

მუხლი 32

1. მხარეები თანამშრომლობენ კომერციულ საფუძველზე საერთაშორისო სანაოსნო ბაზრისა და გრანსპორტის ბაზარზე შეუზღუდავი შეღწევის პრინციპით:
 - ა) გემოსენებული დებულება არ ზღუდავს ხომალდების მიმოსვლის ნორმების შესახებ გაეროს სარეისო კონვენციიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობებს, თუ ისინი ეხება ნებისმიერ მონაწილე მხარეს. არასაკონვენციო რეისებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კონვენციასთან კონკურენციაში, სანამ ისინი ასრულებენ კომერციულ საფუძველზე დაფუძნებულ სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;
 - ბ) მხარეები ადასტურებენ თავიანთ მოვალეობას შექმნან საკონკურენციო გარემო, რაც შშრალი და თხევადი გვირგვინით ვაჭრობის მნიშვნელოვანი პირობაა.
2. პირველი პარაგრაფის პრინციპების გამოყენებისას, მხარეები:
 - ა) ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, არ გამოიყენებენ თანამეგობრობის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოსა და ყოფილ საბჭოთა კავშირს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულების გვირგვინთან დაკავშირებულ დებულებებს;
 - ბ) მესამე ქვეყნებთან ორმხრივ ხელშეკრულებაში არ შეიგანენ გვირგვინის განაწილებასთან დაკავშირებულ პუნქტებს, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი მხარის სარეისო-სანაოსნო კომპანიებს არ ექნებათ მესამე ქვეყანაში/ქვეყნიდან ვაჭრობისათვის კურსირების ეფექტური შესაძლებლობა;

- გ) მომავალ ორმხრივ შეთანხმებებში აკრძალავენ გვირთის განაწილების შეთანხმებებს მშრალი და თხევადი გვირთით ვაჭრობასთან დაკავშირებით;
- დ) ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ მხარეები აკრძალავენ ყოველგვარ ცალმხრივ ზომებს, ადმინისტრაციულ, გექნიკურ და სხვა წინააღმდეგობებს, რომლებმაც შეიძლება შემზღვეველი ან დისკრიმინაციული გავლენა იქონიოს საერთაშორისო საზღვაო გრანსპორტზე მომსახურების თავისუფალი უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
3. ყოველი მხარე მიანიჭებს *inter alia*, მეორე მხარის დროით მცურავ გემებს იმაზე არანაკლები ხელშეწყობის რეჟიმს, ვიდრე მიანიჭებული აქვს მისი მოქალაქეებისა და კომპანიების კუთვნილ გემებს, რათა შევიდნენ საერთაშორისო ვაჭრობისათვის ღია ნავსადგურებში, ისარგებლონ ინფრასტრუქტურითა და ნავსადგურების დამხმარე სერვისით; ეს რეჟიმი ვრცელდება აგრეთვე შესაბამის გადასახადებსა და ვალდებულებებზე, საბაჟოზე, ხომალდის გაჩერების ადგილსა და დაგვირთვა-გადმოგვირთვის საშუალებებზე.
4. გაერთიანების მოქალაქეებსა და კომპანიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო საზღვაო გრანსპორტის მომსახურებას, შეუძლიათ უზრუნველყონ საერთაშორისო საზღვაო-სამდინარო მომსახურება საქართველოს შიდა წყლებში და *vice versa*.

მუხლი 33

მხარეებს შორის კომერციული საჭიროებისათვის გრანსპორტის კოორდინირებული განვითარების უზრუნველყოფა, ერთმანეთის ბაზარზე შეღწევისა და საგრანსპორტო სექტორში სერვისის უზრუნველყოფის პირობები საგზაო, სარკინიგზო ან შიგა წყალსანაოსნო და სადაც მისაღებია, საჰაერო გრანსპორტისათვის, შეიძლება განისაზღვროს სპეციალური შეთანხმებით, რომელიც მხარეებს შეუძლიათ დალონ ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ.

თავი IV

ზოგადი დებულებები

მუხლი 34

1. ამ კარის დებულებები დაქვემდებარება საზოგადოებრივი პოლიტიკის, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მოსაზრებით შექმნილ შეზღუდვებს.
2. ისინი არ გამოიყენება, თუ რომელიმე მხარის გერიგორიაზე მოღვაწეობა უკავშირდება, თუნდაც ცალკეულ შემთხვევებში, ოფიციალური ხელისუფლების ძალაუფლების აღსრულებას.

მუხლი 35

ამ კარის მიზნებისათვის, შეთანხმებაში არაფერი არ შეზღუდავს მხარეების უფლებებს გამოიყენონ თავიანთი კანონები და ნორმატიული აქტები, რომლებიც უკავშირდება ფიზიკური პირების შესვლასა და დარჩენას, მუშაობას, შრომით პირობებს, დაფუძნებასა და მომსახურებას, და ასეთ შემთხვევაში

მხარეები არც გააბათილებენ და არც შეამცირებენ იმ უპირატესობას, რომელიც ამ შეთანხმების სპეციალური დებულების საფუძველზე ნებისმიერ მხარეს ენიჭება. ზემოხსენებული დებულება არ ეწინააღმდეგება 34-ე მუხლის გამოყენებას.

მუხლი 36

კომპანიები, რომელთაც აკონგრულებენ გაერთიანებისა და საქართველოს კომპანიები და, რომლებიც წარმოადგენენ მათ ერთობლივ და ექსკლუზიურ საკუთრებას, აგრეთვე იხელმძღვანელებენ II, III და IV კარის დებულებებით.

მუხლი 37

ერთი მხარის მიერ მეორისათვის მინიჭებული რეჟიმი იმ სექტორებთან და ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებსაც მოიცავს მომსახურებით ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (გაგს-ი) შესაბამისი ვალდებულებები, გაგს-ის აღნიშნული ვალდებულებების ძალაში შესვლამდე ერთი თვით ადრე, არც ერთ შემთხვევაში არ იქნება იმაზე უპირატესი, ვიდრე მინიჭებულია პირველი მხარის მიერ გაგს-ის დებულებების თანახმად მომსახურების სექტორთან, ქვესექტორთან და მომარაგების მეთოდთან დაკავშირებით.

მუხლი 38

II, III და IV თავების მიზნებისათვის, მხედველობაში არ მიიღება გაერთიანების, მისი წევრი სახელმწიფოების ან საქართველოს მიერ დაწესებული რეჟიმი იმ ვალდებულებათა მიმართ, რომლებიც გათვალისწინებულია ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეკრულებებში გაგს-ის V თავის პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 39

1. ამ კარის დებულებების შესაბამისად მინიჭებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არ გამოიყენება საგადასახადო უპირატესობების მიმართ, რომელთა მინიჭებასაც მხარე უზრუნველყოფს ან მომავალში დააპირებს უზრუნველყოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ან სხვა საგადასახადო შეთანხმების საფუძველზე.
2. ამ კარის არცერთი დებულება არ უნდა უშლიდეს ხელს მხარეებს დაადგინონ ან მიმართონ ნებისმიერ საშუალებას ორმაგი დაბეგვრის, სხვა საგადასახადო შეთანხმების ან შიდა ფისკალური კანონმდებლობის დებულებების გამოყენებით გადასახადის თავიდან აცილების წინააღმდეგ.
3. ამ კარის არცერთი დებულება არ უნდა უშლიდეს ხელს წევრ სახელმწიფოებს ან საქართველოს დააწესონ მათი ფისკალური კანონმდებლობის შესაბამისად სხვაობა გადასახადის იმ გადამხდელთა შორის, რომლებიც არ არიან მსგავს სიგუაციაში, განსაკუთრებით, თუ ეს ეხება მათ ადგილსამყოფელს.

მუხლი 40

28-ე მუხლს მიუხედავად II, III და IV კარის არც ერთი დებულება არ მიანიჭებს:

- გაერთიანების წევრი სახელმწიფოების ან საქართველოს მოქალაქეებს შესაბამისად საქართველოს ან გაერთიანების წევრი სახელმწიფოების გერიგორიაზე შესვლის, ან ნებისმიერი ფორმით

ყოფნის უფლებას, განსაკუთრებით როგორც კომპანიის მეწილის, ან პარტნიორის, ან მენეჯერის, ან მომუშავეს, ან მომსახურების განმხორციელებლის, ან მომსახურების რეციფიენცის სახით;

- გაერთიანებაში არსებულ საქართველოს შვილეულ კომპანიებს ან კომპანიების ფილიალებს უფლებას დაიქირავეთ ან დააქირავეთინონ სამუშაოდ გაერთიანების გერიგორიაზე საქართველოს მოქალაქეები;
- საქართველოში არსებულ გაერთიანების შვილეულ კომპანიებს ან კომპანიების ფილიალებს უფლებას დაიქირავეთ ან სამუშაოდ დააქირავეთინონ საქართველოს გერიგორიაზე წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები;
- საქართველოს კომპანიებს ან გაერთიანებაში არსებულ საქართველოს შვილეულ კომპანიებს ან კომპანიების ფილიალებს უფლებას გამოგზავნონ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც იმოქმედებენ სამუშაო კონტრაქტის საფუძველზე სხვა პირების სახელით ან სხვათა კონტროლის ქვეშ.
- გაერთიანების კომპანიებს ან საქართველოში არსებულ გაერთიანების შვილეულ კომპანიებს ან ფილიალებს უფლებას გამოგზავნონ მომსახურეები, რომლებიც არიან წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები და იმოქმედებენ სამუშაო კონტრაქტის საფუძველზე სხვა პირების სახელით ან სხვათა კონტროლის ქვეშ.

თავი V

მიმდინარე ფულადი გადასახადი და კაპიტალი

მუხლი 41

1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ნება დართონ გაერთიანების და საქართველოს რეზიდენტებს განახორციელონ გადახდა თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის ანგარიშზე, რაც დაკავშირებულია საქონლის, მომსახურების და მუშახელის გადაადგილებასთან წინამდებარე შეთანხმების დებულებების თანახმად.
2. ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, საგადასახადო ბალანსის ძირითად ანგარიშზე წარმოებულ გარიგებათა თანახმად, მასპინძელი ქვეყნის კანონების მიხედვით ჩამოყალიბებული კომპანიებისათვის განკუთვნილი პირდაპირი ინვესტიციების და II კარის დებულებების მიხედვით დაბანდებული ინვესტიციების თავისუფალი მოძრაობა, ამ ინვესტიციებისა და მათგან წარმოქმნილი მოგების ლიკვიდურ საშუალებებად გადაქცევა და რეპატრიაცია გარანტირებული იქნება.
3. ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, მე-2 ან მე-5 პარაგრაფებს არ ეწინააღმდეგება, თუ გაერთიანებისა და საქართველოს რეზიდენტებს შორის კაპიტალის მოძრაობასა და ამასთან დაკავშირებულ მიმდინარე ფულად გადასახადზე არ იქნება შემოღებული არცერთი ახალი შეზღუდვა უცხოური ვალუტის გადაცვლასთან დაკავშირებით და უფრო შემზღუდველი არ გახდება არსებული წესები.

4. მხარეები გამართავენ კონსულგაციებს, რათა ხელი შეუწყონ მე-2 პარაგრაფში ნახსენები კაპიგალისაგან განსხვავებული კაპიგალის თავისუფალ გადაადგილებას გაერთიანებასა და საქართველოს შორის, რითაც დაეხმარებიან წინამდებარე შეთანხმების მიზნების განხორციელებას.
5. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდების VIII მუხლის თანახმად, სანამ საქართველოს ვალუტა არ გახდება სრულად კონვერტირებადი, ამ მუხლის დებულებებზე დაყრდნობით საქართველოს შეუძლია გამონაკლის გარემოებებში მიმართოს ვალუტის გადაცვლის შეზღუდვებს, რაც დაკავშირებულია მოკლე და საშუალოვადიან ფინანსური კრედიტის მიცემასა თუ აღებასთან. რამდენადაც ეს შეზღუდვები კრედიტის აღებასთან დაკავშირებით საქართველოს ვალდებულებად აქვს დაკისრებული და ნებადართულია საქართველოს სტატუსის თანახმად საერთაშორისო სავალუტო ფონდში, საქართველო მიმართავს ასეთ შეზღუდვებს არადისკრიმინაციულ საფუძველზე. ეს შეზღუდვები გამოყენებული უნდა იყოს ისეთი მეთოდით, რომ წინამდებარე შეთანხმების მაქსიმალურად შესაძლებელი მცირე დარღვევა გამოიწვიოს. საქართველო შეაგყობინებს თანამშრომლობის საბჭოს ასეთი ზომების შემოღებას ან მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ ცვლილებებს.
6. პირველ და მეორე პარაგრაფს არ ეწინააღმდეგება ის, რომ გამონაკლის შემთხვევაში, თუ კაპიგალის გადაადგილება გაერთიანებასა და საქართველოს შორის მათი სავალუტო კურსის პოლიტიკის ოპერირებასა და მონეგარულ პოლიტიკას უქმნის ან შეიძლება შეუქმნას სერიოზული საფრთხე, მაშინ შესაბამისად გაერთიანებამ და საქართველომ შეუძლიათ მიიღონ უსაფრთხოების ზომები, რომელთა მოქმედება გაგრძელდება არაუმეტეს ექვსი თვისა, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ზომები ნამდვილად აუცილებელია.

თავი VI

ინგელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების დაცვა

მუხლი 42

1. მოცემული მუხლის დებულებებისა და II დანართის დებულებებიდან გამომდინარე, საქართველო გააგრძელებს ინგელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების უფლებების დაცვის გაუმჯობესებას, რათა, შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან მეხუთე წლის ბოლოსათვის, უბრუნველყოს დაცვის ისეთი დონე, როგორც არსებობს გაერთიანებაში, ამ უფლებების ძალაში შესვლის ეფექტური ზომების ჩათვლით.
2. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან მეხუთე წლის ბოლოსათვის საქართველო შეუერთდება II დანართის პირველ პარაგრაფში აღნიშნულ მრავალმხრივ კონვენციებს ინგელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების უფლებების შესახებ, რომელთა მონაწილეები არიან გაერთიანების წევრი სახელმწიფოები ან რომლებსაც, *de facto*, მიმართავენ წევრი სახელმწიფოები, ამ კონვენციებში მოცემული შესაბამისი დებულებების თანახმად.

V კარი

სამართლებრივი თანამშრომლობა

მუხლი 43

1. მხარეები ცნობენ, რომ საქართველოსა და გაერთიანებას შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობათა განმგვიცების მნიშვნელოვანი პირობა არის საქართველოს არსებული და მომავალი კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანების კანონმდებლობასთან. საქართველო ეცდება, რომ მისი კანონმდებლობა თანდათანობით შეესაბამოს გაერთიანების კანონმდებლობას.
2. კანონების მიხედვით, კერძოდ, გავრცელდება შემდეგ სფეროებზე: კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც მართავენ კომპანიების ინვესტიციებს, საბაჟო კანონი, კანონი კომპანიების შესახებ, საბაჟო კანონი, კომპანიის ანგარიში და გადასახადი, ინტელექტუალური საკუთრება, მუშახელის დაცვა მათ სამუშაო ადგილებზე, ფინანსური მომსახურება, კანონები კონკურენციის შესახებ, სახელმწიფო მომარაგება, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, ცხოველთა და მცენარეთა დაცვა, გარემოს დაცვა, მომხმარებლის დაცვა, არაპირდაპირი გადასახადი, გექნიკური წესები და სტანდარტები, კანონები და კანონქვემდებარე აქტები ბირთვული ენერჯის შესახებ, გრანსპორტი.
3. ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის გაერთიანება საქართველოს უზრუნველყოფს გექნიკური დახმარებით, რაც გულისხმობს:
 - ექსპერტთა გაცვლას;
 - წინასწარი ინფორმაციის მიწოდებას, განსაკუთრებით შესაბამისი კანონმდებლობის შესახებ;
 - სემინარების მოწოდებას;
 - სტაჟირებას;
 - შესაბამის სექტორებში გაერთიანების კანონმდებლობის თარგმნისათვის დახმარების გაწევას.

მუხლი 44

1. 43-ე მუხლიდან გამომდინარე, გაერთიანება საქართველოს უზრუნველყოფს გექნიკური დახმარებით კონკურენციის სფეროში კანონმდებლობის ჩამოყალიბებისა და განხორციელებისათვის, განსაკუთრებით შემდეგი მიმართულებებით:
 - ხელშეკრულებები და შეთანხმებული პრაქტიკა კომპანიებს შორის, რომლებიც შეიძლება აფერხებდნენ, ბლუდავდნენ ან არღვევდნენ კონკურენციას,
 - კომპანიის მიერ ბაზარზე დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება,
 - სახელმწიფო დახმარება, რომელიც ხელს უშლის კონკურენციას,
 - კომერციული ხასიათის სახელმწიფო მონოპოლიები,
 - სახელმწიფო საწარმოები და სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებების მქონე საწარმოები,

საკონკურენციო კანონების გამოყენების და მასთან შესაბამისობაში ყოფნის შემოწმება და ბედამხედველობა.
2. მხარეები თანხმდებიან გამოიყენონ თავიანთი შესაბამისი კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ, როდესაც მათ შორის ვაჭრობა დარღვეულია.

VI კარი

ეკონომიკური თანამშრომლობა

მუხლი 45

1. გაერთიანება და საქართველო დაამყარებენ ფართომასშტაბიან ეკონომიკურ თანამშრომლობას, რათა ხელი შეუწყონ ეკონომიკური რეფორმებისა და აღორძინების პროცესს და საქართველოს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას. ასეთი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას.
2. მხარეების პოლიტიკა და სხვა ღონისძიებანი გარდება, რათა ხელი შეუწყონ საქართველოში ეკონომიკური და სოციალური რეფორმების განხორციელებას და სავაჭრო და ეკონომიკურ სისტემათა რესტრუქტურირებას, რაც სტაბილურობისა და ჰარმონიული სოციალური განვითარების მოთხოვნების შესაბამისად წარმართება, აგრეთვე სრულიად მოიცავენ ეკოლოგიურ მოთხოვნებს.
3. ამ მიზნებიდან გამომდინარე, თანამშრომლობა განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, აღამიანთა რესურსებისა და ასევე, სწარმოების განვითარების მხარდაჭერას (იგულისხმება პრივატიზაცია, ინვესტიციების და ფინანსური სამსახურის განვითარება), სოფლის მეურნეობის და სპორტის საკითხებს, ენერჯეტიკის საკითხებს, გრანსპორტს, გურიზმს, გარემოს დაცვას, რეგიონალურ თანამშრომლობას და ფულად საკითხებს.
4. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ამიერკავკასიის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და მეზობელ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარების, რეგიონის ჰარმონიული განვითარების სტიმულირებისათვის გამიზნულ ღონისძიებებს.
5. საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკური და წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ სხვა ფორმის თანამშრომლობას გაერთიანებამ შეიძლება მხარი დაუჭიროს გექნიკური დახმარებით, რაც გაერთიანების საბჭოს სათანადო დებულების თანახმად შეესაბამება დამოუკიდებელი სახელმწიფოების იმ პრიორიტეტებს, რომლებიც განისაზღვრება ევროპის გაერთიანების საქართველოსათვის გექნიკური დახმარების ინდივიდუალური პროგრამითა და არსებული კოორდინაციისა და მართვის პროცედურებით.

მუხლი 46

თანამშრომლობა საქონლით ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში

მხარეები ითანამშრომლებენ, რათა საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობა წარმართოს მსო-ს შესაბამისი დებულებების თანახმად.

ასეთი თანამშრომლობა მოიცავს სპეციალურ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ვაჭრობის ხელშეწყობას. ეს საკითხებია:

- სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის საგადასახადო და სავალდებულო მექანიზმები;
- შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა;
- საქართველოსათვის დახმარების გაწევა მსო-ში საბოლოო გაწვევრიანებისთვის.

მუხლი 47

სამრეწველო თანამშრომლობა

1. თანამშრომლობა მიზნად ისახავს ისეთი საკითხების ხელშეწყობას, როგორცაა:
 - საქმიანი კავშირთა დამყარების განვითარება მხარეთა ეკონომიკურ საქმიანობის სუბიექტებს შორის;
 - გაერთიანების მონაწილეობა საქართველოს ძალისხმევაში თავისი მრეწველობის რესტრუქტურირების მიზნით;
 - მენეჯმენტის გაუმჯობესება;
 - შესაბამისი კომერციული წესებისა და პრაქტიკის განვითარება;
 - გარემოს დაცვა;
 - სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კონვერსია.
2. ამ მუხლის დებულებები არ შეზღუდავს გაერთიანების უფლებას გამოიყენოს საკუთარი კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკურენციის წესები.

მუხლი 48

მშენებლობა

მხარეები ითანამშრომლებენ მშენებლობის სფეროში.

ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს, *inter alia*, მშენებლობის სფეროს მოდერნიზაციასა და რესტრუქტურირებას საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად, ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემო-დაცვითი ასპექტების გათვალისწინებით.

მუხლი 49

ინვესტიციების ხელშეწყობა და დაცვა

1. ითვალისწინებს რა გაერთიანებისა და წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებასა და კომპეტენციას, თანამშრომლობა მიზნად ისახავს როგორც შიდა, ასევე უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნას ინვესტიციების დაცვის, კაპიტალის გრანსფერის და ინვესტიციების შესაძლებლობათა შესახებ ინფორმაციის გაცემის გაუმჯობესების გზით.
2. ამ თანამშრომლობის მიზანია:
 - საჭიროების შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის დაიდოს შეთანხმება ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ;
 - საჭიროების შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის დაიდოს შეთანხმება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ;

- შეიქმნას ხელსაყრელი პირობები საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის;
- შეიქმნას ბიზნესის დარგში სტაბილური და აღქვადი კანონი და პირობები, გაიცვალოს ინფორმაცია ინვესტიციების დარგში კანონების, დებულებებისა და აღმინისგრაფიული პრაქტიკის შესახებ;
- გაიცვალოს ინფორმაცია ინვესტიციების შესაძლებლობებთან შესახებ, *inter alia*, სავაჭრო ბაზრობების, გამოფენების, სავაჭრო კვირეულებისა და სხვა ღონისძიებებთან მეშვეობით.

მუხლი 50

სახელმწიფო შესყიდვა

მხარეები ითანამშრომლებენ, რათა შექმნან საქონლისა და მომსახურების ღია და კონკურენტუნარიანი კონტრაქტების დადების პირობები, კერძოდ განაცხადების საფუძველზე.

მუხლი 51

თანამშრომლობა სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში

1. მხარეთა თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ხარისხის სფეროში საერთაშორისოდ შეთანხმებულ კრიტერიუმებთან, პრინციპებთან და დირექტივებთან დაახლოვებას. საჭირო მოქმედებები ხელს შეუწყობენ პროგრესს, მიმართულს ორმხრივი აღიარებისაკენ შესაბამისობის შეფასების სფეროში, აგრეთვე ქართული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.
2. ამ მიზნით მხარეები ითანამშრომლებენ გეგმიური დახმარების პროექტების შემუშავებაში, რაც:
 - ხელს შეუწყობს ამ სფეროში არსებულ საქონელსა და მომსახურებაზე სპეციალიზირებულ ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების შესაბამის თანამშრომლობას;
 - ხელს შეუწყობს გაერთიანების გეგმიური რეგულაციებისა და ევროპული სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების გამოყენებას;
 - იძლევა ხარისხის აღმინისგრირების სფეროში გამოცდილებისა და გეგმიური ინფორმაციის გაზიარების საშუალებას.

მუხლი 52

სამთო მრეწველობა და ნედლეული

1. მხარეები მიზნად ისახავენ სამთო მრეწველობისა და ნედლეულის დარგში ინვესტიციებისა და ვაჭრობის გაზრდას.
2. თანამშრომლობის უმთავრესი მიზნებია:
 - ინფორმაციის გაცვლა სამთო მრეწველობისა და ფერადი ლითონების წარმოების დარგებში არსებულ შესაძლებლობათა შესახებ;

- თანამშრომლობის სამართლებრივი ფარგლების დადგენა;
- ვაჭრობის საკითხები;
- კანონმდებლობის მიღება და განხორციელება ბუნების დაცვის დარგში;
- სტაჟირება;
- უსაფრთხოება სამთო მრეწველობის დარგში.

მუხლი 53

თანამშრომლობა მეცნიერებისა და გექნოლოგიის დარგში

1. ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას მეცნიერებისა და გექნიკის დარგში, რისთვისაც, გაითვალისწინებენ რესურსების არსებობასა და თავიანთი პროგრამების ადექვატური გამოყენების შესაძლებლობას, ინგელექტუალურ, სამრეწველო და კომერციულ საკუთრებაზე უფლების დაცვის გარანტიების შესაბამის ღონებზე უზრუნველყოფით.

2. სამეცნიერო და გექნიკური თანამშრომლობა მოიცავს:

- სამეცნიერო და გექნიკური ინფორმაციის გაცვლას;
- გექნოლოგიური განვითარებისათვის ერთობლივ საქმიანობას;
- ორივე მხრიდან სამოქალაქო-სამეცნიერო და გექნოლოგიურ კვლევაში ჩაბმული მეცნიერების, მკვლევარებისა და გექნიკური პერსონალის სასწავლო პრაქტიკისა და მობილურ პროგრამებს.

როდესაც ასეთი თანამშრომლობა სწავლის ან სტაჟირების სახეს შეიძენს, იგი უნდა განხორციელდეს 54-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მხარეებს შეუძლიათ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გამოიყენონ მეცნიერებისა და გექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის სხვა ფორმები.

ასეთი თანამშრომლობის დროს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ მეცნიერების, ინჟინრების, მკვლევარებისა და გექნიკური პერსონალის კვლავ ამოქმედებას, რომლებიც არიან ან იყვნენ ჩაბმული მასობრივი განადგურების იარაღის კვლევისა ან წარმოებაში.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული თანამშრომლობა წარმართება იმ სპეციალური ღონისძიებების მიხედვით, რომელთა გამო გაიმართება მოლაპარაკება და გაკეთდება დასცენა თითოეული მხარის პროცედურების შესაბამისად, და რომლებიც გაითვალისწინებენ შესაბამის დებულებებს ინგელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების დაცვისათვის.

მუხლი 54

განათლება და სტაჟირება

1. მხარეები საქართველოს ზოგადი განათლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ღონის ამაღლების მიზნით თანამშრომლებენ სახელმწიფო და კერძო სექტორებში.
2. თანამშრომლობა კონცენგირებული იქნება შემდეგ სფეროებში:

- საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მომზადების სისტემის, აგრეთვე სასწავლო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების და უმაღლესი განათლების დაპროექტების სერტიფიცირების სისტემის მოდერნიზება;
 - განსაზღვრულ პრიორიტეტულ სფეროებში სახელმწიფო და კერძო სექტორების აღმასრულებელი პირების და სახელმწიფო სფეროს მოხელეების სტაჟირება;
 - სასწავლო დაწესებულებებსა და ფირმებს შორის თანამშრომლობა;
 - მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, ადმინისტრატორების, ახალგაზრდა მეცნიერებისა და მკვლევართა, და ახალგაზრდების მობილურობა;
 - შესაბამის დაწესებულებებში ევროპული სწავლების ხელშეწყობა;
 - კაეშირის ენების სწავლება;
 - კონფერენციის თარჯიმანთა საასპირანტურო სწავლება;
 - ჟურნალისგთა სტაჟირება;
 - მასწავლებელთა სტაჟირება.
3. ერთი მხარის შესაძლო მონაწილეობა მეორე მხარის საგანმანათლებლო სისტემის პროგრამაში შეიძლება განხორციელდეს მათი შესაბამისი პროცედურების მიხედვით და საჭიროების შემთხვევაში საინსტიტუციო ფარგლები და თანამშრომლობის გეგმები ჩამოყალიბდეს გაერთიანების TEMPUS-ის პროგრამაში საქართველოს მონაწილეობის საფუძველზე.

მუხლი 55

სოფლის მეურნეობა და აგროსამრეწველო სექტორი

ამ სფეროში თანამშრომლობის მიზანია სოფლის მეურნეობის რეფორმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის, აგროსამრეწველო და მომსახურების სექტორთა მოდერნიზაცია, პრივატიზაცია და რესტრუქტურირება, საქართველოს პროდუქციისათვის შიდა და საგარეო ბაზრების მოპოვება, გარემოს დაცვის პირობების უზრუნველყოფა, სურსათით მომარაგების გაუმჯობესების აუცილებლობისა და აგრობიზნესის განვითარების გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება და დისტრიბუცია. მხარეთა მიზანია ქართული სტანდარტების თანდათანობითი დაახლოება გაერთიანების იმ გეგმიურ ნორმებთან, რომლებიც ეხება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, სანიტარიისა და ფიგოსანიტარიის სტანდარტებს.

მუხლი 56

ენერგეტიკა

1. თანამშრომლობა ხორციელდება საბაზრო ეკონომიკისა და ევროპის ენერგეტიკული ქარგის პრინციპების საფუძველზე, ევროპაში ენერგეტიკული ბაზრების თანდათანობით ინტეგრაციის ფონზე, ენერგეტიკის ქარგის შეთანხმებისა და ენერჯის ეფექტიანობის ოქმის და მასთან დაკავშირებული გარემოდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით.

2. თანამშრომლობა სხვა მიმართულებებთან ერთად მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ენერგეტიკის პოლიტიკის ფორმულირება და განვითარება;
- საბაზრო ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით ენერგეტიკის სექტორის მენეჯმენტის და რეგულირების გაუმჯობესება;
- ენერჯის მიწოდების გაუმჯობესება, კერძოდ, მიწოდების უსაფრთხოება ეკონომიკური და გარემოდაცვითი საკითხების გათვალისწინებით;
- ენერჯის დაზოგვისა და ენერჯის ეფექტიანობის წახალისება და ენერგეტიკის ქარტიის ეფექტიანობის შესახებ ენერჯის ოქმისა და მასთან დაკავშირებული გარემოდაცვითი ასპექტების განხორციელება;
- ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია;
- ენერჯით მომარაგებისათვისა და სხვადასხვა სახეობის ენერჯის საბოლოო გამოყენებისათვის საჭირო ენერგოტექნოლოგიების გაუმჯობესება;
- ენერგეტიკის სექტორში მენეჯმენტი და ტექნიკური მომზადება;
- ენერგომარგარებლებისა და ელექტროენერჯის გრანსპორტირება და გრანზბიტი;
- ინსტიტუციური, სამართლებრივი, ფისკალური და სხვა პირობების დანერგვა ელექტროენერჯით ვაჭრობისა და ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოცულობის გაზრდისათვის.
- ჰიდროელექტრულ და სხვა ალდგენად ენერგორესურსებზე მომუშავე ელექტროენერჯის წყაროების განვითარება.

3. მხარეები გაცვლიან შესაბამის ინფორმაციას ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების პროექტების, განსაკუთრებით ნავთობისა და გაზის მილსადენების ან ენერგომარგარებლების გრანსპორტირების სხვა საშუალებების კონსტრუქციებისა და განახლების დარგში. ისინი ითანამშრომლებენ IV კარის და 49-ე მუხლის დებულებების მაქსიმალურად ეფექტიანად ამოქმედებისათვის, ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების გათვალისწინებით.

მუხლი 57

გარემოს დაცვა

1. ევროპის ენერგეტიკის ქარტიის და 1993 წლის ლუცერნის კონფერენციის დეკლარაციის, ენერგეტიკის ქარტიის ხელშეკრულების, განსაკუთრებით მისი მე-19 მუხლის, აგრეთვე ენერჯის ეფექტიანობის შესახებ ენერგეტიკის ქარტიის ოქმისა და მასთან დაკავშირებული გარემოდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით, მხარეები განავითარებენ და გააძლიერებენ თანამშრომლობას გარემოდაცვისა და ჯანდაცვის სფეროებში.
2. თანამშრომლობის მიზანია ბრძოლა გარემოს დაზიანების წინააღმდეგ, კონკრეტულად:
 - გარემოს გაბინძურების ღონის ეფექტიანი მონიტორინგი და გარემოს მდგომარეობის შეფასება; გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სისტემა;
 - ადგილობრივი, რეგიონალური და გრანსასაზღვრო ჰაერის და წყლის გაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა;

- ეკოლოგიური აღდგენა;
 - ენერჯის სტაბილური, ეფექტიანი და ეკოლოგიურად სუფთა წარმოება და გამოყენება;
 - სამრეწველო ნაგებობათა უსაფრთხოება;
 - ქიმიური პროდუქტების კლასიფიკაცია და უსაფრთხო გამოყენება;
 - წყლის ხარისხი;
 - ნარჩენების შემცირება, გადამუშავება და უსაფრთხო განგვირთვა, ბაზელის კონვენციის განხორციელება;
 - გარემოს ზეგავლენა სოფლის მეურნეობაზე, ნიადაგის ეროზია და ქიმიური გაბინძურება;
 - ტყეების დაცვა;
 - ბიომრავალფეროვნების დაცვა, დაცული ადგილებისა და ბიოლოგიური რესურსების სტაბილური გამოყენება და მენეჯმენტი;
 - მიწის გამოყენების დაგეგმვა, მშენებლობისა და ქალაქის დაგეგმვის ჩათვლით;
 - ეკონომიკური და ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება;
 - გლობალური კლიმატური ცვლილება;
 - გარემოდაცვითი განათლება;
 - გექნიური დახმარება რადიოაქტიური ზეგავლენის არეში მოქცეული ზონების აღდგენისა და ამასთან დაკავშირებული ჯანდაცვისა და სოციალური პრობლემებისთვის;
 - გრანსასაზღვრო კონგექსტით გარემოდაცვითი ღონისძიებების შეფასების შესახებ ესპოს კონვენციის განხორციელება.
3. თანამშრომლობის დროს გამოყენებული იქნება შემდეგი ღონისძიებანი:
- აგასტროფების და სხვა საგანგებო სიგუაციების პროგნოზი;
 - ინფორმაციისა და ექსპერტების გაცვლა, სახელდობრ, იმ ინფორმაციისა და ექსპერტებისა, რომლებიც ჩამბული არიან სუფთა გექნოლოგიების გრანსფერში და გარემოდაცვითი ბიოტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენების საქმეში;
 - ერთობლივი კვლევითი თანამშრომლობა;
 - კანონმდებლობის გაუმჯობესება ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მიზნით;
 - გარემოს დაცვის სფეროში სტაჟირება და შესაბამისი ინსტიტუტების გაძლიერება;
 - თანამშრომლობა რეგიონალურ დონეზე, კერძოდ თანამშრომლობა ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოსთან და თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე;
 - სტრატეგიების შემუშავება, განსაკუთრებით გლობალურ და კლიმატურ საკითხებთან დაკავშირებით, და, აგრეთვე, სტაბილური განვითარების მისაღწევად;
 - გარემოზე გავლენის მქონე ფაქტორების შესწავლა.

მუხლი 58

გრანსპორტი

მხარეები განავითარებენ და განამკიცებენ თანამშრომლობას გრანსპორტის დარგში.

ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს, *inter alia*, საქართველოში საგრანსპორტო სისტემებისა და ქსელების სტრუქტურულ გარდაქმნასა და მოდერნიზაციას, და, სადაც ეს მიზანშეწონილია, უფრო გლობალური საგრანსპორტო სისტემის ფორმირების კონკრეტული საგრანსპორტო სისტემების შეთავსების უზრუნველყოფასა და განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გრადიციულ საკომუნიკაციო კავშირის ამიერკავკასიის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის და სხვა მებობელ ქვეყნებთან.

თანამშრომლობა, *inter alia*, აგრეთვე ითვალისწინებს:

- სახმელეთო გრანსპორტის, რკინიგზის, ნავსადგურებისა და აეროპორტების მართვისა და ექსპლუატაციის მოდერნიზაციას;
- რკინიგზის, საზღვაო და სამდინარო კომუნიკაციების, გზატკეცილების, ნავსადგურების, აეროპორტებისა და საჰაერო ნავიგაციის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და განვითარებას, მათ შორის მხარეებისათვის საინვესტიციო ძირითადი მარშრუტებისა და განსაკუთრებით იმ გრანსვერობული კავშირების მოდერნიზაციას, რომლებიც განიხილება TRACECA-ს პროექტში.
- მულტიმოდალური გრანსპორტის ხელშეწყობა და განვითარება;
- ერთობლივი კვლევისა და განვითარების პროგრამების ხელშეწყობა;
- საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოების მომზადება პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის, საგრანსპორტო სექტორის პრივატიზაციის ჩათვლით;

მუხლი 59

საფოსტო მომსახურება და გელეკომუნიკაციები

მხარეები თავიანთი შესაბამისი უფლებებისა და კომპეტენციის ფარგლებში გააფართოებენ და გააძლიერებენ თანამშრომლობას შემდეგ სფეროებში:

- პოლიტიკის და დირექტივების ჩამოყალიბება გელეკომუნიკაციებისა და საფოსტო კავშირის სფეროს განვითარებისათვის;
- გელეკომუნიკაციების და საფოსტო მომსახურების სფეროში საგარეო პოლიტიკის პრინციპების და მარკეტინგის განვითარება;
- ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გრანსფერის განხორციელება ევროპის ტექნიკური სტანდარტებისა და სერტიფიკაციული სისტემების ჩათვლით;
- გელეკომუნიკაციების და საფოსტო მომსახურებების პროექტების წახალისება და ინვესტიციების მოზიდვა;
- გელეკომუნიკაციების და საფოსტო კავშირის ეფექტიანობის და ხარისხის გაუმჯობესება, სხვა საშუალებებთან ერთად ქვესექტორების საქმიანობის ლიბერალიზაციით;

- გელეკომუნიკაციების ახლებური გამოყენება, განსაკუთრებით ელექტრონული ფონდების გრან-სფერის სფეროში;
- საგელეკომუნიკაციო ქსელის მენეჯმენტი და მისი "ოპტიმიზაცია";
- შესაბამისი სარეგულაციო საფუძველის შექმნა გელეკომუნიკაციების და საფოსტო მომსახურებისათვის და რადიოსიხშირის სპექტრის გამოყენებისათვის;
- სწავლება გელეკომუნიკაციების და საფოსტო მომსახურების სფეროში საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქმიანობისათვის.

მუხლი 60

ფინანსური მომსახურება

თანამშრომლობა, კერძოდ, ხელს შეუწყობს საქართველოს ჩართვას ორმხრივი რეგულირების საყოველთაოდ მიღებულ სისგემებში. გექნიური თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგ სფეროებში:

- საბანკო და საფინანსო მომსახურების განვითარება, საკრედიტო რესურსების საერთო ბაზრის განვითარება, საქართველოს ორმხრივი რეგულირების საყოველთაოდ მიღებულ სისგემებში ჩართვა;
- საქართველოში ფისკალური სისგემის და მისი ინსტიტუტების განვითარება, გამოცდილების გაზიარება და კადრების სწავლება;
- სადამღვევო სამსახურის განვითარება, რომელიც *inter alia*, შექმნის ხელსაყრელ პირობებს, რათა გაერთიანების კომპანიებმა მონაწილეობა მიიღონ საქართველოს სადამღვევო სექტორში ერთობლივი საწარმოების დაარსებაში, აგრეთვე საექსპორტო კრედიტის დაზღვევის განვითარება.

ეს თანამშრომლობა, კერძოდ, ხელს შეუწყობს საქართველოს და წევრი სახელმწიფოების ურთიერთობის განვითარებას ფინანსური მომსახურების სექტორში.

მუხლი 61

რეგიონალური განვითარება

1. მხარეები განამტკიცებენ თანამშრომლობას რეგიონალური განვითარებისა და მიწის გამოყენების დაგეგმვის სფეროებში.
2. ამ მიზნით მხარეები წაახალისებენ ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ინფორმაციის გაცვლას რეგიონალური და მიწის გამოყენების დაგეგმვის პოლიტიკის შესახებ და რეგიონული პოლიტიკის ფორმულირების მეთოდების შესახებ, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ჩამორჩენილი რეგიონების განვითარებას.

ისინი აგრეთვე ხელს შეუწყობენ პირდაპირი კონტაქტების დამყარებას შესაბამის რეგიონებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან რეგიონალური განვითარების დაგეგმვისათვის, *inter alia*, რეგიონალური განვითარების ხელშეწყობის მეთოდებისა და საშუალებების გაცვლის მიზნით.

მუხლი 62

სოციალური თანამშრომლობა

1. ჯანდაცვისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მხარეები ითანამშრომლებენ მუშაკთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის დონის ამაღლების მიზნით.

თანამშრომლობა, კერძოდ, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- განათლება და მომზადება ჯანდაცვისა და უსაფრთხოების დარგში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მაღალი რისკის საქმიანობის სექტორებს;
 - იმ დამცველი ზომების მიღება და განვითარება, რომლებიც ეხება ავადმყოფობას მუშაობის სფეროში და მუშაობასთან დაკავშირებულ ჯანდაცვის სხვა პრობლემებს;
 - დიდი ავარიების საშიშროების თავიდან აცილება და გოქსიკურ ქიმიურ ნივთიერებებთან შეხება;
 - კვლევითი სამუშაოების ჩატარება საინფორმაციო ბაზის განვითარებისათვის, სამუშაო გარემოსა და მუშაკთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით.
2. დასაქმების საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, თანამშრომლობა გულისხმობს გეგმიურ დახმარებას შემდეგ სფეროებში:
- შრომის ბაზრის ოპტიმიზაცია;
 - სამუშაოს მოძებნის და საკონსულტაციო მომსახურების მოდერნიზაცია;
 - რესტრუქტურირების პროგრამების დაგეგმვა და მართვა;
 - ადგილობრივი დასაქმების განვითარების წახალისება;
 - ინფორმაციის გაცვლა მოქნილი დასაქმების ისეთი პროგრამების შესახებ, რომლებიც ბიძგს აძლევს თვითდასაქმებას და ხელს უწყობს ბიზნესის შექმნის უნარის გამოვლენას.
3. მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ თანამშრომლობას სოციალური დაცვის სფეროში, კერძოდ, *inter alia*, საქართველოში სოციალური დაცვის რეფორმების დაგეგმვისა და განხორციელების სფეროში.

ეს რეფორმები მიზნად ისახავს საქართველოში უსაფრთხოების იმ მეთოდების განვითარებას, რომლებიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის და მოიცავს სოციალური დაცვის ყველა ფორმას.

მუხლი 63

გურიზმი

მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას, რაც გულისხმობს:

- გურისგული ვაჭრობის ხელშეწყობას;
- ინფორმაციის ნაკადის გაზრდას;
- ნოუ-ჰაუს გადაცემას;

- ერთობლივი ოპერაციების განხორციელებისათვის არსებულ შესაძლებლობათა შესწავლას;
- თანამშრომლობას გურიზმის ოფიციალურ ორგანოებს შორის;
- კადრების მომზადებას გურიზმის განვითარების მიზნით;

მუხლი 64

მცირე და საშუალო საწარმოები

1. მხარეები მიზნად ისახავენ განავითარონ და გააძლიერონ მცირე და საშუალო საწარმოები და მათი გაერთიანებები, აგრეთვე თანამშრომლობა გაერთიანებისა და საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებს შორის.
2. თანამშრომლობა ითვალისწინებს გექნივურ დახმარებას, განსაკუთრებით შემდეგ სფეროებში:
 - მცირე და საშუალო საწარმოების სამართლებრივი ბაზის განვითარება;
 - შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება (მცირე და საშუალო საწარმოებისათვის დამხმარე სააგენტოების შექმნა, კომუნიკაციები, დახმარება მცირე და საშუალო საწარმოების ფონდის შესაქმნელად);
 - გექნოლოგიური პარკების განვითარება.

მუხლი 65

ინფორმაცია და კომუნიკაციები

მხარეები ხელს შეუწყობენ ინფორმაციის შეგროვების თანამედროვე მეთოდების, მათ შორის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების განვითარებას და სციმულს მისცემენ ინფორმაციის ეფექტიან ურთიერთგაცვლას. უპირატესობა მიენიჭება იმ პროგრამებს, რომელთა მიზანია ფართო საზოგადოებისათვის გაერთიანებისა და საქართველოს შესახებ ძირითადი ინფორმაციის მიწოდება და გაერთიანების საინფორმაციო ბაზის გამოყენება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესაბამისად.

მუხლი 66

მომხმარებლის დაცვა

მხარეები მჭიდროდ თანამშრომლობენ მათი მომხმარებლების დაცვის სისტემებს შორის შესაბამისობის მისაღწევად. ეს თანამშრომლობა შეიძლება ითვალისწინებდეს ინფორმაციის გაცვლას სამართლებრივი სამსახურისა და ინსტიტუციური რეფორმების სფეროში, საშიში პროდუქტების შესახებ ორმხრივი ინფორმაციის გაცვლის მუდმივი სისტემების დაარსებას, მომხმარებლისათვის ფასებთან დაკავშირებული მიწოდებული ინფორმაციის გაუმჯობესებას, პროდუქციის სახეობისა და გაწეული სამსახურის გამო მომხმარებელთა ინტერესების წარმომადგენლებს შორის გაცვლის განვითარებას, მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის შეთავსებადობის ზრდას, სემინარებისა და სასწავლო პერიოდების მომზადებას.

მუხლი 67

საბაჟო

1. თანამშრომლობის მიზანი იქნება ყველა იმ დებულების გარანტირება, რომლებიც დაგეგმილია მისაღებად და ეხება პაგიოსან ვაჭრობას და საქართველოს საბაჟო სისგემის მიახლოებას გაერთიანების სისგემსთან.
2. თანამშრომლობა კონკრეტულად მოიცავს:
 - ინფორმაციის გაცვლას;
 - სამუშაო მეთოდების გაუმჯობესებას;
 - კომბინირებული ნომენკლატურის და ერთიანი ადმინისტრაციული ლოკუმენტის მიღებას;
 - გაერთიანებისა და საქართველოს საგრანზიტო სისგემების ურთიერთგავეწიერებას;
 - საქონლის გრანსპორტირების ინსპექციისა და ფორმალობათა გამარტივებას;
 - თანამედროვე საბაჟო საინფორმაციო სისგემების დანერგვის მხარდაჭერას;
 - სემინარებისა და სასწავლო პერიოდების ორგანიზებას.

გექნიური დახმარება აღმოჩენილ იქნება საჭიროების შემთხვევაში.

3. შეთანხმებით გათვალისწინებულ თანამშრომლობას, განსაკუთრებით 72-ე და 74-ე მუხლებს არ ეწინააღმდეგება შეთანხმების თანდართული ოქმის დებულებების შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის განხორციელებული ორმხრივი დახმარება.

მუხლი 68

თანამშრომლობა სტატისტიკის დარგში

ამ სფეროში თანამშრომლობა მიზნად ისახავს ეფექტიანი სტატისტიკური სისგემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ეკონომიკური რეფორმების პროცესის მხარდაჭერისა და კონგრულისათვის და საქართველოში კერძო საწარმოების განვითარების ხელშეწყობისათვის სარწმუნო სტატისტიკური მონაცემების მიღებას.

მხარეები, კერძოდ, ითანამშრომლებენ შემდეგ სფეროებში:

- საქართველოს სტატისტიკური სისგემის ადაპტაცია საერთაშორისო სისგემსთან, მის მეთოდებთან, სტანდარტებთან და კლასიფიკაციასთან;
- სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლა;
- აუცილებელია სტატისტიკური მკვრე და მიკროეკონომიკური ინფორმაციის მიწოდება;
- ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისა და მართვის უზრუნველყოფისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება მკვრე და მიკროეკონომიკური სიგუაციის შესახებ.

გაერთიანება ხელს შეუწყობს საქართველოს ამ სფეროში გექნიური დახმარების საშუალებით.

მუხლი 69

ეკონომიკა

მხარეები ხელს შეუწყობენ ეკონომიკური რეფორმის პროცესსა და ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირებას თანამშრომლობით, რათა გაუმჯობესდეს მათი ეკონომიკის საფუძვლების შესწავლა და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ამ მიზნით, მხარეები გაცვლიან ინფორმაციას მაკროეკონომიკური სიგუჯისა და პერსპექტივების თაობაზე.

გაერთიანება უზრუნველყოფს გექნიურ დახმარებას, იმისათვის, რათა:

- საქართველოს გაწეოს დახმარება ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში საექსპერტო რჩევებისა და გექნიური დახმარების საშუალებით;
- წახალისოს თანამშრომლობა ეკონომისტებს შორის, რათა უკეთ განხორციელდეს ეკონომიკური პოლიტიკის შექმნისათვის ნოუ-ჰაუს გადაცემა და ფართოდ გავრცელდეს პოლიტიკასთან დაკავშირებული კვლევა.

მუხლი 70

მონეგარული პოლიტიკა

საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით, გაერთიანება გაუწევს მას გექნიურ დახმარებას, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს ძალისხმევას საკუთარი მონეგარული პოლიტიკის გაძლიერებისა და ახალი ფულადი ერთეულის კონვერტირებულ ვალუტად გადაქცევისათვის.

ეს მოიცავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან სრული კოორდინაციით გაწეულ გექნიურ დახმარებას, რომლის მიზანია საქართველოს მონეგარული და საკრედიტო პოლიტიკის შექმნა და განხორციელება, კადრების მომზადება, ფინანსური ბაზრების, მათ შორის საფონდო ბირჟის განვითარება. ეს აგრეთვე გულისხმობს აგრეთა არაოფიციალურ გაზიარებას ევროპის ფულადი სისტემის პრინციპებისა და ფუნქციონირების შესახებ და თანამეგობრობის საკანონმდებლო აქტებს ფინანსური ბაზრების და კაპიტალის მიმოქცევის შესახებ.

VII კარი

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობა

მუხლი 71

მხარეები ითანამშრომლებენ ყველა საკითხში, რომლებიც დაკავშირებულია დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასთან ან მათ გაძლიერებასთან, მათ შორის იმ საკითხებში, რომლებიც აუცილებელია კანონიერებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის გასაძლიერებლად საერთაშორისო სამართლისა და ევროთათბირის პრინციპების შესაბამისად.

ამ თანამშრომლობას ექნება გექნიური დახმარების პროგრამების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს დახმარებას, *inter alia*, შესაბამისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შექმნაში და მათ შემდგომ განხორციელებაში; სასამართლოს ფუნქციონირებაში; სამართლის საკითხებში სახელმწიფოს როლისა და საარჩევნო სისტემის ფუნქციონირებაში. ეს სფერო საჭიროებისამებრ მოიცავს სტაჟირებას. მხარეები ხელს შეუწყობენ თავიანთ ეროვნულ, ადგილობრივ და სასამართლო ხელისუფლებებს, პარლამენტარებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კონტაქტებსა და გაცვლას.

VIII კარი

თანამშრომლობა

კანონსაწინააღმდეგო ქმედებისა და არალეგალური იმიგრაციის აღკვეთის და კონტროლის მიზნით

მუხლი 72

მხარეები თანამშრომლობენ მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთის მიზნით შემდეგ სფეროებში:

- ეკონომიკის სფეროში მართლსაწინააღმდეგო ქმედება, და კორუფცია;
- სხვადასხვა სახეობის საქონლის, მათ შორის საწარმოო ნარჩენების არაკანონიერი ბრუნვა;
- ყალბი ფულის დამზადება,

თანამშრომლობა აღნიშნულ სფეროებში დაეუძნება საერთო კონსულტაციებს და მჭიდრო კავშირს და ითვალისწინებს გექნიურ და ადმინისტრაციულ დახმარებას შემდეგ საკითხებში:

- მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთის სფეროში ეროვნული საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავება;
- ინფორმაციის ცენტრების შექმნა;
- იმ ორგანიზაციების მოქმედების ეფექტიანობის ამაღლება, რომლებიც მონაწილეობენ მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთაში;
- პერსონალის სწავლება, კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღსაკვეთად ურთიერთშეთანხმებული ღონისძიებების შემუშავება

მუხლი 73

ფულის გაკეთილშობილება

1. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ყოველი ღონე იხმარონ და ითანამშრომლონ, რათა აღკვეთონ მათ ფინანსურ სისტემებში შემოსული კრიმინალური და, კერძოდ, ნარკობიზნესის შედეგად ნაშთი ფულის გაკეთილშობილება.
2. თანამშრომლობა ამ სფეროში ფულისხმობს ადმინისტრაციულ და გექნიურ დახმარებას, რათა ჩამოყალიბდეს ფულის გაკეთილშობილების საწინააღმდეგო სათანადო ნორმები, რომლებიც შეესაბამება ამ სფეროში გაერთიანებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (Financial Action Task Force-ის ჩათვლით) მიერ მიღებულ ნორმებს.

მუხლი 74

ნარკოტიკები

მხარეები, სათანადო უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში, ითანამშრომლებენ პოლიციისა და ღონისძიებების ეფექტიანობისა და ნაყოფიერების ამაღლებისათვის, რათა დაუპირისპირდნენ ნარკოტიკული ნივთიერებისა და ფსიქოტროპული საშუალებების, მათ შორის, პირველადი ქიმიური პრეპარატების უკანონო წარმოებას, მომარაგებასა და გადამზადებას, აგრეთვე ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ ნარკოტიკების მოთხოვნილების თავიდან აცილებასა და შემცირებას. თანამშრომლობა ამ სფეროში დაეფუძნება მხარეებს შორის კონსულტაციებსა და მჭიდრო კოორდინაციას ნარკოტიკებთან დაკავშირებული სხვადასხვა სფეროების მიზნებთან და ღონისძიებებთან.

მუხლი 75

არალეგალური იმიგრაცია

1. წევრი სახელმწიფოები და საქართველო შეთანხმდნენ ითანამშრომლონ არალეგალური იმიგრაციის თავიდან აცილებისათვის. ამისათვის:

- საქართველო თანახმაა კვლავ მიიღოს თავისი მოქალაქეები, რომლებიც არალეგალურად იმყოფებიან წევრი სახელმწიფოების გერიგორიაზე, ამ უკანასკნელთა მოთხოვნით და შემდგომ ფორმალბათა გარეშე;
- და თითოეული წევრი სახელმწიფო თანახმაა, როგორც ეს განსაზღვრულია გაერთიანების მიზნებით, ყოველგვარ შემდგომ ფორმალბათა გარეშე კვლავ მიიღოს თავისი ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც უკანონოდ იმყოფება საქართველოს გერიგორიაზე, ამ უკანასკნელის მოთხოვნით.

ამგვარი მიზნებისათვის წევრი სახელმწიფოები და საქართველო უზრუნველყოფენ თავიანთ მოქალაქეებს პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტებით.

2. საქართველო თანახმაა წევრი სახელმწიფოს მოთხოვნის შესაბამისად დადოს ორმხრივი ხელშეკრულებები, რომლებიც დაარეგულირებენ საქართველოდან რომელიმე წევრი სახელმწიფოს გერიგორიაზე ჩასული ან საქართველოს გერიგორიაზე რომელიმე სხვა ასეთი წევრი სახელმწიფოდან ჩასული სხვა ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირთა რეადმისიისათვის საჭირო სპეციფიურ ვალდებულებებს.

3. თანამშრომლობის საბჭო განიხილავს, თუ როგორი საერთო ძალისხმევა იქნება საჭირო უკანონო იმიგრაციის თავიდან აცილებისა და კონტროლისათვის.

IX კარი

კულტურული თანამშრომლობა

მუხლი 76

1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ და წახალისონ კულტურული თანამშრომლობა. საჭიროებისამებრ, გაერთიანების ან წევრი სახელმწიფოების კულტურული ურთიერთობების განვითარების პროგრამები შეიძლება იყოს თანამშრომლობის საგანი და შემდგომ შეიძლება განვითარდეს ორმხრივი ინგერესი.

2. თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს, *inter alia*, შემდეგ სფეროებს:

- ძეგლების, ადგილმდებარეობის (არქიტექტურული მემკვიდრეობა) და სამუზეუმო ფასეულობების დაცვისა და კონსერვაციის სფეროში ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა;
- კულტურული გაცვლა შესაბამის ინსტიტუტებს, ხელოვანთა და სხვა პირებს შორის, რომლებიც კულტურის სფეროში მოღვაწეობენ;
- ლიგერაგურული ნაწარმოებების თარგმნა.

X კარი

ფინანსური თანამშრომლობა გექნიკური დახმარების სფეროში

მუხლი 77

ამ შეთანხმების მიზნების მისაღწევად და 74-ე, 75-ე და 76-ე მუხლების შესაბამისად, საქართველო ისარგებლებს დროებითი ფინანსური დახმარებით, კავშირის გექნიკური დახმარების მეშვეობით გრანტების სახით, რათა დაჩქარდეს საქართველოს ეკონომიკური გარდაქმნა.

მუხლი 78

ამ ფინანსურ დახმარებას დაფარავს "გასისი," როგორც გათვალისწინებულია თანამეგობრობის საბჭოს შესაბამისი დებულებით.

მუხლი 79

გაერთიანების ფინანსური დახმარების მიზნები და სფეროები შეგანილი იქნება ინდუცირებულ პროგრამაში, რომელშიც აისახება ორ მხარეს შორის შეთანხმებული პრიორიტეტები, საქართველოს საჭიროებათა, სექტორების აღსორბციული უნარისა და რეფორმებთან დაკავშირებული პროგრესის გათვალისწინებით.

მხარეები ამის შესახებ ინფორმაციას მიაწოდებენ თანამშრომლობის საბჭოს.

მუხლი 80

არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიზნით, მხარეები უზრუნველყოფენ გაერთიანების გექნიკური დახმარების განხორციელებას იმ დახმარებასთან მჭიდრო კოორდინაციით, რომელიც მიღებულია სხვა წყაროებიდან, მაგალითად, წვერი სახელმწიფოებიდან, სხვა სახელმწიფოებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, კერძოდ, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკიდან და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან.

XI კარი

ინსტიტუციური, ბოგადი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 81

თანამშრომლობის საბჭო იქმნება, რათა მეთვალყურეობა გაუწიოს წინამდებარე შეთანხმების შესრულებას. საბჭოს შეხვედრები გაიმართება წელიწადში ერთხელ მინისგრების ღონებზე. საბჭო განიხილავს ნებისმიერ ძირითად საკითხს, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში, და ნებისმიერ სხვა ორმხრივ და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხს შეთანხმების მიზნების მისაღწევად. თანამშრომლობის საბჭოს ასევე შეუძლია შეიმუშავოს შესაბამისი რეკომენდაციები ორ მხარეს შორის შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 82

1. თანამშრომლობის საბჭო შედგება, ერთი მხრივ, ევროპის კავშირის საბჭოს წევრებისა და ევროპის გაერთიანებების კომისიის წევრებისაგან და, მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობის წევრებისაგან.
2. თანამშრომლობის საბჭო დაადგენს პროცედურულ წესებს.
3. თანამშრომლობის საბჭოს საპრეზიდენტო სამსახურს ალგერნაგულად უხელმძღვანელებენ გაერთიანების წარმომადგენელი და საქართველოს მთავრობის წევრი.

მუხლი 83

1. თანამშრომლობის საბჭოს თავისი მოვალეობის შესრულებაში დაეხმარება თანამშრომლობის კომიგეგი, რომელიც, ერთი მხრივ, შედგება ევროპის კავშირის საბჭოს წევრებისა და ევროპის გაერთიანებების კომისიის წარმომადგენლებისაგან და, მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებისაგან, როგორც წესი მაღალ სამოქალაქო მოსამსახურეთა ღონებზე. თანამშრომლობის კომიგეგის საპრეზიდენტო სამსახურს რიგრიგობით უხელმძღვანელებენ ევროპის გაერთიანება და საქართველო.

თანამშრომლობის საბჭო თავისი პროცედურის წესებში განსაზღვრავს თანამშრომლობის კომიგეგის მოვალეობებს, რომელიც შეიცავს საკითხებს თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრების მომზადებისა და კომიგეგის ფუნქციონირების შესახებ.

2. თანამშრომლობის საბჭოს შეუძლია გადასცეს თავისი უფლებამოსილება თანამშრომლობის კომიგეგს, რომელიც უბრუნველყოფს სამუშაოების მიმდინარეობის უწყვეტობას თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრებს შორის.

მუხლი 84

თანამშრომლობის საბჭომ შეიძლება გადაწყვიტოს ნებისმიერი სხვა სპეციალური კომიტიტის ან ორგანოს ჩამოყალიბება, რომელიც დაეხმარება თავისი მოვალეობების შესრულებაში და განსაზღვრავს ამგვარი კომიტიტებისა და ორგანოების შემადგენლობას, მოვალეობებს, აგრეთვე მათ ფუნქციონირებას.

მუხლი 85

ნებისმიერი საკითხის განხილვის დროს, რომელიც წარმოიშობა ამ შეთანხმების ფარგლებში ნებისმიერ დებულებასთან დაკავშირებით და ეხება მსო-ს ერთ-ერთ მუხლს, თანამშრომლობის საბჭო შეიძლება მასამებრ მაქსიმალურად გაითვალისწინებს იმ განმარტებას, რომელიც მოცემულია მსო-ს შესაბამის მუხლში და მონაწილე მხარეების ზოგად შეთანხმებაში.

მუხლი 86

შეიქმნება საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტიტი. ამ ფორუმში საქართველოს პარლამენტისა და ევროპარლამენტის წევრებს ექნებათ შეხვედრისა და აზრთა ურთიერთგაზიარების საშუალება. შეკრების პერიოდს კომიტიტი თავად განსაზღვრავს.

მუხლი 87

1. საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტიტი შედგება, ერთი მხრივ, ევროპარლამენტის და, მეორე მხრივ, საქართველოს პარლამენტის წევრებისაგან.
2. საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტიტი დაადგენს თავის საპროცედურო წესებს.
3. საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტიტს რიგრიგობით უხელმძღვანელებენ ევროპარლამენტი და საქართველოს პარლამენტი, მის საპროცედურო წესებში შესაგანი დებულებების თანახმად.

მუხლი 88

საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტიტმა შეიძლება მოსთხოვოს თანამშრომლობის საბჭოს შესაბამისი ინფორმაცია წინამდებარე შეთანხმების შესრულების შესახებ. თანამშრომლობის საბჭო, თავის მხრივ, მიაწოდებს კომიტიტს მოსთხოვნილ ინფორმაციას.

საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტიტს მიეწოდება ინფორმაცია თანამშრომლობის საბჭოს რეკომენდაციების შესახებ.

საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტიტმა შეიძლება მისცეს რეკომენდაციები თანამშრომლობის საბჭოს.

მუხლი 89

1. ამ შეთანხმების ფარგლებში, თითოეული მხარე კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს დისკრიმინაციის გარეშე მეორე მხარის ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის თავისუფალი შეღწევა

მხარეების კომპეგენგურ სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში, რათა დაიცვან ინდივიდუალური და საკუთრების უფლებები, მათ შორის ინტელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების დაცვის უფლებები.

2. მხარეები შესაბამისი უფლებამოსილებისა და კომპეგენციის ფარგლებში:

- წახალისებენ არბიტრაჟისადმი მიმართვას იმ დავის მოგვარების მიზნით, რომელიც წარმოიშვა გაერთიანებისა და საქართველოს ეკონომიკური აგენგების მიერ კომერციული და თანამშრომლობითი გარიგების საფუძველზე;
- შეთანხმდნენ, რომ თუ დავის საგანი გადაცემულია არბიტრაჟში, დავის მონაწილე თითოეულ მხარეს შეუძლია, ეროვნების მიუხედავად, აირჩიოს თავისი საკუთარი მოსამართლე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეების მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო ცენტრის წესები სხვაგვარად არის განმარტებული, და აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ თავმჯდომარეობის შემსრულებელი მესამე მოსამართლე ან ერთ-ერთი მოსამართლე შეიძლება იყოს მესამე სახელმწიფოს მოქალაქე;
- რეკომენდაციებს გაუწევენ თავიანთ ეკონომიკურ აგენგებს, რათა ორმხრივი შეთანხმებით აირჩიონ კანონმდებლობა, რომელიც შეესაბამება მათ კონგრაქტებს;
- წახალისებენ იმ საარბიტრაჟო წესების გამოყენებას, რომლებიც შეიმუშავა გაეროს საერთაშორისო საავტორო სამართლის კომისიამ (Uncitral), და არბიტრაჟის მიმართვას იმ სახელმწიფოს ნებისმიერი ცენტრისადმი, რომელმაც 1958 წლის 10 ივნისს ნიუ-იორკში ხელი მოაწერა კონვენციას საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ.

მუხლი 90

შეთანხმების არც ერთი პუნქტი არ შეუძლის ხელს რომელიმე მხარეს მიიღოს ნებისმიერი სახის შემდეგი ზომები:

- (ა) რომლებიც მიაჩნია საჭიროდ იმ ინფორმაციის დასაფარავად, რომელიც ეწინააღმდეგება უსაფრთხოების მნიშვნელოვან ინგერესებს;
- (ბ) რომლებიც ეხება იარაღის, აღჭურვილობის ან საბრძოლო გექნიკის წარმოებას ან ვაჭრობას, ან კვლევას, განვითარებას და თავდაცვითი მიზნებისათვის განკუთვნილი მასალების წარმოებას, იქიდან გამომდინარე, რომ ამგვარი ზომები არ მიაყენებს ზიანს კონკურენციის პირობებს და გულისხმობენ იმ პროდუქციის წარმოებას, რომელიც არ არის განკუთვნილი, კერძოდ, სამხედრო მიზნებისათვის;
- (გ) რომლებიც მნიშვნელოვნად მიაჩნიათ საკუთარი უსაფრთხოებისათვის იმ სერიოზული შიდა არეულობის შემთხვევაში, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენს კანონისა და წესრიგის დაცვაზე, აგრეთვე ომის ან ისეთი სერიოზული საერთაშორისო დაძაბულობის დროს, რაც იწვევს ომის საშიშროებას, ან იმისათვის, რომ განახორციელონ მოვალეობები, რომლებიც იყისრეს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების მხარდაჭერის მიზნით;
- (დ) რომლებიც მიაჩნიათ საჭიროდ სამრეწველო საქონლისა და გექნოლოგიის ორმხრივი გამოყენების კონგროლის დროს თავიანთი საერთაშორისო მოვალეობებისა და ვალდებულებების დასაცავად.

მუხლი 91

- წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული დარგების თანახმად და სპეციალური დებულებების დაურღვევლად:
 - საქართველოს მიერ გაერთიანების მიმართ გამოყენებული ზომები არ გამოიწვევს დისკრიმინაციას წევრ სახელმწიფოებს, მათ მოქალაქეებს, კომპანიებსა ან ფირმებს შორის.
 - ევროპის გაერთიანების მიერ საქართველოს მიმართ გამოყენებული ზომები არ გამოიწვევს დისკრიმინაციას საქართველოს მოქალაქეებს, კომპანიებსა და ფირმებს შორის.
- პირველი პუნქტის დებულებები არ მიაყენებს ზიანს მხარეების უფლებას გამოიყენონ თავიანთი ფისკალური კანონმდებლობის შესაბამისი დაბეგვრის დებულებები იმ გადასხდლების მიმართ, რომლებიც არ არიან ილენგურ სიგუაციაში, რაც დაკავშირებულია მათ ადგილსამყოფელთან.

მუხლი 92

- თითოეულ მხარეს შეუძლია მიმართოს თანამშრომლობის საბჭოს ნებისმიერი სადავო საკითხით ამ შეთანხმების გამოყენების ან განმარტების თაობაზე.
- თანამშრომლობის საბჭოს შეუძლია მოაგვაროს ეს სადავო საკითხი რეკომენდაციის მეშვეობით.
- იმ შემთხვევაში, როცა სადავო საკითხი არ მოგვარდება ამ შეთანხმების მე-2 პუნქტის შესაბამისად, თითოეულ მხარეს შეუძლია აცნობოს მეორე მხარეს მომრიგებლის დანიშვნის შესახებ; მეორე მხარემ შემდგომ უნდა დანიშნოს მეორე მომრიგებელი ორი თვის განმავლობაში. მოცემული პროცედურის შესასრულებლად, გაერთიანება და წევრი სახელმწიფოები გამოვლენ დავაში მონაწილე ერთი მხარის როლში.

თანამშრომლობის საბჭო დანიშნავს მესამე მომრიგებელს. მომრიგებლის რეკომენდაციები მიღებულ იქნება ხმების უმრავლესობით.

მომრიგებლის რეკომენდაცია შეიძლება მიღებულ იქნას უმრავლესობით. ასეთი რეკომენდაციები მხარეებისათვის სავალდებულო ხასიათს არ აგარებენ.

- თანამშრომლობის საბჭოს შეუძლია შეიმუშავოს პროცედურის წესები სადავო საკითხების გადასაწყვეტად.

მუხლი 93

მხარეები თანხმდებიან ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით დაუყოვნებლივ ჩააგარონ კონსულტაცია შესაბამისი არხების მეშვეობით, რათა განიხილონ საკითხი ამ შეთანხმების განმარტების ან შესრულების და მხარეებს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებულ სხვა ასპექტების შესახებ.

ამ შეთანხმების დებულებები არც ერთ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება და ზიანს არ აყენებს მე-14, 92-ე და 98-ე მუხლებს.

მუხლი 94

საქართველოსათვის მინიჭებული რეჟიმი არავითარ შემთხვევაში არ უნდა სარგებლობდეს მეტი უპირატესობით, ვიდრე წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ ერთმანეთს.

მუხლი 95

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის სახელწოდება "მხარეები" ნიშნავს, ერთი მხრივ, საქართველოს და, მეორე მხრივ, გაერთიანებას ან წევრ სახელმწიფოებს, ან გაერთიანებასა და წევრ სახელმწიფოებს, მათი შესაბამისი ძალაუფლების თანახმად.

მუხლი 96

რადგანაც ამ შეთანხმებაში მოცემულ საკითხებს აგრეთვე ითვალისწინებს ევროპის ენერჯეტიკის ქარტიის ხელშეკრულება და დართული ოქმები, ეს ხელშეკრულება და ოქმები ძალაში შესვლის შემდეგ, მოახდენენ ამ საკითხების რეგულირებას გათვალისწინებულ ფარგლებში.

მუხლი 97

წინამდებარე შეთანხმება თავდაპირველად დადებულია 10 წლის ვადით. შეთანხმება ავტომატურად განახლდება ყოველ წელს, მანამ რომელიმე მხარე წერილობით არ შეაგყობინებს მეორე მხარეს შეთანხმების დენონსაციის შესახებ მისი მოქმედების შეწყვეტამდე ექვსი თვით ადრე.

მუხლი 98

1. მხარეები მიიღებენ ზოგად ან სპეციალური ზომებს, რომლებიც საჭიროა შეთანხმების ვალდებულებების შესასრულებლად. ისინი თავაღყურს ადევნებენ შეთანხმების მიზნების განხორციელებას.
2. თუ რომელიმე მხარე ჩათვლის, რომ მეორე მხარემ ვერ შეასრულა წინამდებარე შეთანხმების ვალდებულება, მას შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები. ამის შესრულებამდე, გარდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევისა, იგი მიაწოდებს თანამშრომლობის საბჭოს ყველა შესაბამის ინფორმაციას, რათა სიგუაცია სრულად შეისწავლოს ყველა მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების მისაღწევად.

ამ ზომების შერჩევისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც ყველაზე ნაკლებ ბიანს აყენებს შეთანხმების ფუნქციონირებას. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, ეს ზომები დაუყოვნებლივ ეცნობება თანამშრომლობის საბჭოს.

მუხლი 99

I, II, III, IV და V დანართები ოქმთან ერთად წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 100

მოცემული შეთანხმება, ინდივიდებისა და ეკონომიკური აგენტების ეკვივალენტური უფლებების მიღწევამდე, არ მოახდენს გაელენას უფლებებზე, რომლებიც ენიჭებათ მათ არსებული შეთანხმებით და რომლებიც აკავშირებენ, ერთი მხრივ, ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოს და, მეორე მხრივ,

საქართველოს, გარდა იმ სფეროებისა, რომლებიც შედის გაერთიანების კომპეგენციაში და არ ეწინააღმდეგება წევრი სახელმწიფოების მოვალეობებს, გამომდინარეც ამ შეთანხმებიდან იმ სფეროებში, რომლებიც ექცევიან მათი კომპეგენციის ფარგლებში.

მუხლი 101

მოცემული შეთანხმება, ერთი მხრივ, შეეხება იმ გერიგორიებს, რომლებზეც ვრცელდება ხელშეკრულებები, რომლებიც აფუძნებენ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებას, ევროპის აგომური ენერჯის გაერთიანებას, და, მეორე მხრივ, საქართველოს გერიგორიას.

მუხლი 102

ევროპის კავშირის საბჭოს გენერალური მდივანი იქნება წინამდებარე შეთანხმების დეპობიგორი.

მუხლი 103

წინამდებარე შეთანხმების დედანი, რომელიც შედგენილია დანიურ, ჰოლანდიურ, ინგლისურ, ფინურ, ფრანგულ, გერმანულ, ბერძნულ, იგალიურ, პორტუგალიურ, ესპანურ, შვედურ და ქართულ ენებზე, თანაბრად ავთენგვიურია და დეპონირებულ იქნება ევროპის კავშირის გენერალურ მდივანთან.

მუხლი 104

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა მხარეების მიერ საკუთარი პროცედურების დასრულების შემდეგ.

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა მეორე თვის პირველ დღეს იმ დღიდან, როცა მხარეები შეაგყობინებენ ევროპის კავშირის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული პროცედურები დასრულებულია.

რაც შეეხება საქართველოსა და გაერთიანების ურთიერთობას, ეს შეთანხმება ძალაში შესვლისთანავე შეცვლის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას, ევროპის აგომური ენერჯის გაერთიანებასა და საბჭოთა სოციალისგური რესპუბლიკების კავშირის შორის დადებულ ვაჭრობის, ეკონომიკური და კომერციული თანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც ხელმოწერილია ბრიუსელში 1989 წლის 18 დეკემბერს.

მუხლი 105

იმ შემთხვევაში, თუ ამ შეთანხმების ძალაში შესვლა დაყოვნდა, შეთანხმების გარკვეული მუხლები შუალედური შეთანხმების საშუალებით ამოქმედდება და ამ შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან, რომ ფრაზა "შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღი" ნიშნავს შუალედური შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღს.

დანართების სია

- I დანართი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის საქართველოს მიერ მე-9 (3) მუხლის თანახმად მინიჭებულ უპირატესობათა აღმნიშვნელი სია.
- II დანართი ინტელექტუალურ, სამრეწველო და კომერციულ საკუთრებათა დაცვის კონვენციები (მუხლი 42).
- III დანართი 26 (3) მუხლში მითითებული ფინანსური მომსახურება.
- IV დანართი გაერთიანების პირობები 23 (2) მუხლთან დაკავშირებით.
- V დანართი საქართველოს პირობები 23 (4) მუხლთან დაკავშირებით.

I დანართი

დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის
საქართველოს მიერ მე-9 (3) მუხლის
თანახმად მინიჭებულ უპირატესობათა
აღმნიშვნელი სია

ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფო:

1. განთავისუფლებულია საიმპორტო გადასახადებისაგან.
2. დამატებით ღირებულების გადასახადი და აქციზი არშეეხება იმპორტს.
3. არაკომერციული ოპერაციების სპეციალური სისგემა, ამ ოპერაციებიდან გამომდინარე ანგარიშ-სწორების ჩათვლით.

II დანართი

ინგელექტუალურ, სამრეწველო და კომერციულ საკუთრებათა კონვენციები (მუხლი 42)

1. 42-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი შეეხება შემდეგ მრავალმხრივ კონვენციებს:

- საერთაშორისო კონვენცია შემსრულებლების, ფონოგრამებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების მეწარმეთა დაცვის შესახებ (რომი, 1961 წ.);
- ოქმი, რომელიც უკავშირდება მაღრიდის შეთანხმებას ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის თაობაზე (მაღრიდი, 1989 წ.);
- ნიცის შეთანხმება, რომელიც ეხება საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციას ფულადი ნიშნების რეგისტრაციის მიზნით (ჟენევა, 1977 წ., შესწორებულია 1979 წ.);
- ბუდაპეშტის ხელშეკრულება მიკროორგანიზაციების საერთაშორისო ცნობის თაობაზე საპატენტო პროცედურათა მიზნებისათვის (1977 წ., განახლებულია 1980 წ.);
- საერთაშორისო კონვენცია ნარგავების ახალი ჯიშების დასაცავად (UPOV) (ჟენევის აქტი, 1991 წ.).

2. თანამშრომლობის საბჭომ გაუწიოს რეკომენდაცია, რომ 42-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი გამოყენებულ იქნას სხვა მრავალმხრივი კონვენციების მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ ინგელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების სფეროებში წამოიჭრება პრობლემები, რომლებიც ზეგავლენას მოახდენს სავაჭრო პირობებზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ჩაგარდება სასწრაფო კონსულტაციები ორმხრივ დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილებების მიღწევის მიზნით.

3. მხარეები აღასკურებენ იმ ვალდებულებების მნიშვნელობას, რომლებიც შემდეგი მრავალმხრივი კონვენციებიდან გამომდინარეობს:

- ბერნის კონვენცია ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშების დაცვის შესახებ (პარიზის აქტი, 1971 წ.);
- პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ (სტოკჰოლმის აქტი, 1967წ. და შესწორებულია 1979 წ.);
- მაღრიდის შეთანხმება, რომელიც ეხება ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციას (სტოკჰოლმის აქტი, 1967წ. და შესწორებულია 1979წ.);
- საპატენტო თანამშრომლობის ხელშეკრულება (ვაშინგტონი 1970წ., შესწორებულია 1979წ. და მოდიფიცირებულია 1984წ.);

4. ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან საქართველო მიანიჭებს გაერთიანების ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს, ინგელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების აღიარებისა და დაცვის სფეროში არანაკლები უპირატესობის რეჟიმს, ვიდრე იგი ანიჭებს ნებისმიერ მესამე ქვეყანას ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

5. მე-4 პარაგრაფის დებულებები არ ითვალისწინებს იმ უპირატესობებს, რომლებიც საქართველომ მიანიჭა რომელიმე მესამე ქვეყანას ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე ან იმ უპირატესობებს, რომლებიც საქართველომ მიანიჭა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყანას.

III დანართი

26(3) მუხლში მითითებული ფინანსური მომსახურება

ფინანსური მომსახურება არის ყველა სახის ფინანსური მომსახურება შემოთავაზებული ერთ-ერთი დამფინანსებელი მხარის მიერ. ფინანსური მომსახურება მოიცავს შემდეგი სახის საქმიანობას:

ა. ყველა სახის დაბლვევა და დაბლვევასთან დაკავშირებული მომსახურება.

1. პირდაპირი დაბლვევა (ორმხრივი დაბლვევის ჩათვლით).
 - ა) სიცოცხლის
 - ბ) არა-სიცოცხლის
2. ხელახალი დაბლვევა და რეგროცესია.
3. სადაბლვევო შუამდგომლობა, როგორცაა მაკლერობა და შუამავლობა.
4. დაბლვევის დამხმარე მომსახურება, ისეთი, როგორცაა კონსულტაცია, აქტუარია, რისკის შეფასება და სარჩელის მოგვარების სამსახური.

ბ. საბანკო და სხვა ფინანსური მომსახურება (გარდა დაბლვევისა)

1. საზოგადოებიდან დეპოზიტებისა და ანაზღაურებაზე დაქვემდებარებული ფონდების მიღება.
2. გასესხების ყველა სახე, მომხმარებლის კრედიტი, საფირაო კრედიტი, კომერციულ გარიგებათა წარმოება და დაფინანსება.
3. ფინანსური იჯარა.
4. ყველა საგადასახადო და უფლადი გადარიცხვის მომსახურება, მათ შორის საკრედიტო გადასახადისა და დებიტის ბარათები, გურისგული ჩეკები და საბანკო დრაფტები.
5. გარანტიები და ვალდებულებები.
6. ვაჭრობა თავისი ან კლიენტის სახელით, სავალუტო ან საფონდო ბირჟაზე, შემდეგით:
 - ა) ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტები (ჩეკები, ვექსელები, სერტიფიკატები, დეპოზიტები და სხვ).
 - ბ) უცხოური ვალუტა,
 - გ) წარმოებულები, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ იფარგლება მხოლოდ ფიზიკურებითა და ოფციონებით,
 - დ) სავალუტო კურსები და საპროცენტო განაკვეთების ინსტრუმენტები, იმ წარმოებულების ჩათვლით, როგორცაა გადაცვლა, ფიზიკურული საპროცენტო განაკვეთების შეთანხმებები,
 - ე) მოლაპარაკების ქვემდებარე სხვა ინსტრუმენტები და ფინანსური აქტივები, ოქროს ჩათვლით.

7. აგენგის სახით (კერძო ან სახელმწიფო) მონაწილეობა ყველა სახის ფასიანი ქაღალდების საკითხებში, მათ შორის საღებავებზე მიღება და დაბანდება და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურებით უზრუნველყოფა.
8. ფულით ბროკერობა.
9. აქტივების მენეჯმენტი, როგორცაა ნაღდი ფული და პორტფოლიო მენეჯმენტი, ყველა ფორმის კოლექტიური ინვესტიციების მენეჯმენტი, საპენსიო ფონდის მენეჯმენტი, სამეურვეო დეპოზიტები-სა და გრასგების მენეჯმენტი.
10. ფინანსური აქტივების ანგარიშის გასწორება და კლირინგული მომსახურება, წარმოებულები და მოლაპარაკებას ქვემდებარე სხვა ინსტრუმენტები.
11. მრჩეველობითი შუამავლობა და 1-10 პუნქტებში ჩამოთვლილი საქმიანობის დამხმარე სხვა ფინანსური მომსახურება, მათ შორის კრედიტის რეფერენსი და კლირინგი, ინვესტიციების და პორტფოლიოს კვლევა და რჩევების მიწოდება, აკვიზიტაციასთან და კორპორაციის რესტრუქტურირებასა და სტრატეგიასთან დაკავშირებული რეკომენდაცია.
12. ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციით მომარაგება და მისი გრანსფერი და სხვა საფინანსო მომსახურების მიმწოდებლების მიერ ფინანსური მონაცემების კომპიუტერული დამუშავება.

ფინანსური განმარტებებიდან გამორიცხულია შემდეგი სახის საქმიანობანი:

- ა) ცენტრალური ბანკის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულების მიერ სავალუტო და საგადაამცველო კურსის დადგენის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.
- ბ) ცენტრალური ბანკის, სამთავრობო სააგენციების ან დეპარტამენტების, ან სახელმწიფო დაწესებულებების მიერ გაგარებული ღონისძიებები მთავრობის ანგარიშისათვის ან სამთავრობო გარანტიებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ საქმიანობებს ანხორციელებს ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი ამ სახის სახელმწიფო ერთეულებთან კონკურენციის გზით.
- გ) ის საქმიანობები, რომლებიც შეადგენენ კანონით გათვალისწინებულ სოციალური უსაფრთხოების სისგემის ან საპენსიო გეგმის ნაწილს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ საქმიანობებს ანხორციელებს ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი ამ სახის სახელმწიფო ერთეულებთან კონკურენციის გზით.

IV დანართი

გაერთიანების პირობები 22-ე მუხლის მე-2 პარაგრაფთან დაკავშირებით

სამთო მრეწველობა

ზოგიერთ წევრ სახელმწიფოებში სამთო და მინერალური წარმოების უფლების მიღებასთან დაკავშირებით კონცესია გაიცემა იმ კომპანიებზე, რომლებიც არ ექვემდებარებიან ევროგაერთიანების კონგრულს.

თევზჭერა

ბიოლოგიური რესურსების მოპოვება და გამოყენება და საზღვაო წყლებში არსებული თევზჭერის ზონები, რომლებიც ექცევა გაერთიანების წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტის ან იურისდიქციის მოქმედების არეში, შეზღუდულია თევზჭერი გემებისათვის, რომლებიც აგარებენ გაერთიანების წევრი სახელმწიფოს დროშას და რეგისტრირებულნი არიან გაერთიანების გერიგორიაზე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უძრავი ქონების ყიდვა

ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში უძრავი ქონების შესყიდვა არა-გაერთიანების კომპანიებისათვის ექვემდებარება შეზღუდვებს.

აუდიო-ვიზუალური მომსახურება რადიოს ჩათვლით

ერთნული რეჟიმი, რომელიც შეეხება წარმოებასა და განაწილებას, მათ შორის სამაუწყებლო და სხვა სახის გადაცემები, შეიძლება რეგულირებული იყოს აუდიო-ვიზუალურ ნაწარმოებებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ წარმომოხსნასთან დაკავშირებულ გარკვეულ კრიტერიუმებს.

გულეკომუნიკაციებით მომსახურება, მათ შორის მობილური და საგელიგური მომსახურება.

რეგულირებული მომსახურება

ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ბაზარზე შესვლა შეზღუდულია, თუკი ეს დაკავშირებულია დამატებით მომსახურებასა და ინფრასტრუქტურასთან.

პროფესიული მომსახურება

მომსახურება რეგულირებულია იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელნიც წარმოადგენენ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს. გარკვეულ პირობებში ამ პირებს შეუძლიათ შექმნან კომპანიები.

სოფლის მეურნეობა

ბოგიერთ წევრ სახელმწიფოში ეროვნული რეჟიმი არ ვრცელდება არა-ევროგაერთიანების კომპანიებზე, და იმათზე, რომლებსაც სურთ განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ვენახების შექმნა აღნიშნული არა-ევროგაერთიანების კომპანიების მიერ, ექვემდებარება ნოტიფიკაციას ან აუცილებლობის შემთხვევაში, ნებართვას.

ახალი ამბების სააგენგოს მომსახურება

ბოგიერთ წევრ სახელმწიფოში შეზღუდულია უცხოელთა მონაწილეობა საგამომცემლო საბოგადოებებსა და სამაუწყებლო კომპანიებში.

V დანართი

საქართველოს პირობები 23 (4) მუხლითან დაკავშირებით

1. საქართველოს ამჟამინდელი ინვესტიციების კანონმდებლობა მოითხოვს, რომ უცხოური კომპანიების და საქართველოს იმ კომპანიების ინვესტიციები, სადაც სახელმწიფო არ ფლობს საკონტროლო პაკეტს, ლიცენზირებული იყოს საქართველოს კომპეტენტური ხელისუფლების მიერ. ამგვარი ლიცენზიების გაცემის პირობები, საქართველოს კანონის თანახმად არ გამოიწვევს დისკრიმინაციას საქართველოსა და უცხოურ კერძო კომპანიებს შორის.

ასეთი ლიცენზირება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ შეთანხმების 23-ე (4) მუხლით გათვალისწინებული შეღავათების გაუქმების, ასევე ამ შეთანხმების სხვა რომელიმე პირობის შესრულების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით. კერძოდ კი, მისმა გამოყენებამ არ უნდა შეუშალოს ხელი გაერთიანების კომპანიების დაფუძნებას ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ქვემოთ არის მოცემული. შესაბამისი დასაბუთების გარეშე ლიცენზიის გაუქმება არ შეიძლება. ლიცენზიის ამგვარად გაუქმება შეიძლება გახდეს აპელაციისა და, თუ საჭიროა, დავის საფუძველი.

არაუგვიანეს 1998 წლის 31 დეკემბრისა საქართველო თავის კანონმდებლობას შეუსაბამებს სტანდარტულ საერთაშორისო პრაქტიკას, კერძოდ, გაერთიანების კანონმდებლობას. გაერთიანება საქართველოს გაუწევს გექნიურ დახმარებას ამ სფეროში. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში საქართველო არ მიმართავს ისეთ ზომებსა და ქმედებებს, რომლებიც გაერთიანების კომპანიების დაარსებისა და ოპერირების პირობებს გახდის იმაზე უფრო შემზღულველს, ვიდრე ეს იყო შეთანხმების პარაფირების წინა დღეს.

2. უცხოური ინვესტიციები აკრძალულია შემდეგ სფეროებში:
 - თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფა;
 - ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების დამზადება და რეალიზაცია;
 - ნარკოტიკული და შხამიანი ნივთიერებების შემცველი კულტურების მოყვანა და რეალიზაცია;
3. უცხოურ კომპანიას სჭირდება საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს სპეციალური ნებართვა საქმიანობის განხორციელებისათვის 20 კილომეტრიან სასაზღვრო ზონასა და იმ ზონებში, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და გარემოს დაცვისათვის.
4. ქვემოთ ჩამოთვლილ ეკონომიკური საქმიანობის სფეროებში, საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს, რომ უცხოური ინვესტიციების მქონე კომპანიაში სახელმწიფოს ჰქონდეს ხმის უფლების მქონე აქციების სულ ცოცხა 51% მაინც. ეს პროცენტი შეიძლება შეიცვალოს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით:
 - გაზისა და ნავთობსადენების, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების, სახელმწიფო მნიშვნელობის თბოხაზების და იმ შენობებისა და ობიექტების ექსპლუატაცია, რომლებიც აუცილებელია მათი ფუნქციონირებისათვის;
 - საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და რკინიგზის, საზღვაო ნავსადგურების და აეროპორტების ექსპლუატაცია;

- ფასიანი ქაღალდების, ფულის ნიშნების, მონეტების და საფოსტო მარკების გამოშვება;
 - ავადმყოფების მკურნალობა, რომლებიც დაავადებული არიან საშიში და განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებებით, მათ შორის კანის გადამდები დაავადებებით და ვენერიული სნეულებებით, აგრეთვე ფსიქიკური დაავადებებით;
 - ცხოველთა მკურნალობა, რომლებიც დაავადებული არიან საშიში დაავადებებით;
 - ნელეული სპირტის წარმოება.
5. თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ ახდენს დისკრიმინაციას უცხოელ ინვესტორსა და საქართველოს არასახელმწიფო კომპანიას შორის, მიწის ხანგრძლივ იჯარასთან დაკავშირებით, ამჟამად იგი არ იძლევა მიწის ან ბუნებრივი რესურსების ყიდვის უფლებას.
6. უცხოურ კომპანიებს, რომლებსაც სურთ მოიძიონ ან ექსპლუატაცია გაუწიონ მინერალურ რესურსებს, საქართველოში ან საქართველოს კონგინენტურ შეღებზე მოიპოვონ ან ექსპლუატაცია გაუწიონ ბუნებრივ რესურსებს, სჭირდებათ საქართველოს მთავრობის კონცესია.
- წინამდებარე დანართის დებულებების გამოყენების პირობები არც ერთ შემთხვევაში არ იქნება იმ პირობებზე ნაკლები, რომლებიც მინიჭებული აქვთ მესამე ქვეყნის კომპანიებს. არსებული შეზღუდვების შემცირება გავრცელდება გაერთიანების კომპანიებზე ეროვნული რეჟიმის ან უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის საფუძველზე, რომელიც უკეთესია.
- საქართველოს ინვესტიციების კანონმდებლობა მომავალში განვითარდება წინამდებარე შეთანხმების დებულებებისა და სულისკვეთების შესაბამისად, განსაკუთრებით მისი ბოგადი პრინციპების გათვალისწინებით, კომპანიების დაფუძნებისა და საქმიანობის პირობების და სამართლებრივი თანამშრომლობის დებულებების (I, IV და V კარი) შესაბამისად, აგრეთვე კომპანიების დაარსებასთან დაკავშირებით გაერთიანებასა და საქართველოს შორის წერილების გაცემის შესაბამისად.

ოქმი

საბაჟო საკითხებში

ადმინისტრაციულ ორგანოთა შორის ურთიერთდახმარების შესახებ

მუხლი 1

განმარტვები

ამ ოქმის მიზნებისათვის:

- ა) "საბაჟო კანონმდებლობა" გულისხმობს მხარეთა გერიგორიებზე მოქმედ ნებისმიერ საკანონმდებლო ან ნორმატიულ აქტს საქონლის იმპორტის, ექსპორტის, გრანზიტისა და მისი განთავსების შესახებ ნებისმიერი საბაჟო პროცედურის შესაბამისად, რაც მოიცავს აკრძალვის, შეზღუდვისა და კონტროლის ღონისძიებებს და მიღებულია აღნიშნულ მხარეთა მიერ;
- ბ) "მოხონელი უფლებამოსილი ორგანო" გულისხმობს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც დანიშნულია ამ მიზნით ერთ-ერთი მხარის მიერ და რომელიც ითხოვს დახმარებას საბაჟო საკითხებში;
- გ) "თხოვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანო" გულისხმობს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც დანიშნულია ამ მიზნით ერთ-ერთი მხარის მიერ და რომელიც იღებს თხოვნას საბაჟო საკითხებში;
- დ) "პერსონალური ინფორმაცია" გულისხმობს მთელ ინფორმაციას, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ ან არაიდენტიფიცირებულ პიროვნებას.

მუხლი 2

ფარგლები

1. მხარეები დაეხმარებიან ერთმანეთს თავიანთ კომპეტენციათა ფარგლებში, ოქმით გათვალისწინებული პირობების თანახმად საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ზომების მიღების, ასეთ დარღვევებთან გამომჟღავნებისა და გამოძიების საქმეში.
2. დახმარება საბაჟო საკითხებში ეხება, ამ ოქმის თანახმად, ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია ამ ოქმის განხორციელებისათვის. იგი არ ეწინააღმდეგება კრიმინალურ საკითხებში ურთიერთდახმარების აღიარებულ ნორმებს და არავითარ შემთხვევაში არ დაფარავს სასამართლო ხელისუფლების მოთხოვნით მოპოვებულ ინფორმაციას, თუ არ არსებობს ამაზე სასამართლო ხელისუფლების თანხმობა.

მუხლი 3

დახმარება თხოვნის შემთხვევაში

1. მთხოვნელი უფლებამოსილი ორგანოს თხოვნით, თხოვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანო უზრუნველყოფს მას შესაბამისი ინფორმაციით, რათა მიეცეს საშუალება დარწმუნდეს იმაში რომ, საბაჟო კანონმდებლობა სწორად იქნა გამოყენებული. ასეთი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს შეგვობინებას აღნიშნული კანონმდებლობის დარღვევით ჩაგარებული ან დაგეგმილი ოპერაციების შესახებ.
2. მთხოვნელი უფლებამოსილი ორგანოს თხოვნით თხოვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანო მიაწვდის მას ინფორმაციას იმის შესახებ, იყო თუ არა საქონელი შესაბამისი წესების დაცვით იმპორტირებული ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარის გერიგორიაზე და, საჭიროების შემთხვევაში, რა სახის საბაჟო პროცედურები იქნა ჩაგარებული.
3. მთხოვნელი უფლებამოსილი ორგანოს თხოვნით თხოვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანო შესაბამის ღონისძიებებს განახორციელებს მეთვალყურეობის უზრუნველსაყოფად:
 - ა) იმ მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიმართ, რომელთა გამო არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი არღვევენ ან დაარღვეეს საბაჟო კანონმდებლობა;
 - ბ) იმ ადგილებთან დაკავშირებით, სადაც გვირთი შენახულია იმგვარად, რომ იწვევს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევით გამოყენების ეჭვს;
 - გ) იმ საქონლის მოძრაობის მიმართ, რომლის გამო მიღებული ცნობის მიხედვით შეიძლება მოხდეს საბაჟო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დარღვევები;
 - დ) გრანსპორტირების იმ საშუალებების მიმართ, რომლებიც იყო, არის ან შესაძლოა გამოყენებული იყოს საბაჟო კანონმდებლობის დასარღვევად.

მუხლი 4

სპონგანური დახმარება

მხარეები წინასწარი მოთხოვნის გარეშე დახმარებას გაუწევენ ერთმანეთს თავიანთი კანონების, წესებისა და სხვა საკანონმდებლო საშუალებების თანახმად, თუკი მიიჩნევენ, რომ ეს საჭიროა საბაჟო კანონმდებლობის სწორად გამოყენებისათვის, განსაკუთრებით როდესაც მიიღებენ ინფორმაციას, დაკავშირებულს:

- ქმედებასთან, რომელიც არღვევს ან დაარღვევს ამგვარ კანონმდებლობას და რომლითაც შესაძლოა დაინგერესდნენ მხარეები;
- ამგვარი ქმედებისათვის გამოყენებულ ახალ საშუალებებსა და მეთოდებთან;
- იმ საქონელთან, რომლებიც წარმოადგენენ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის საგანს;
- ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, რომელთა მიმართაც წარმოიქმნება საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ეჭვის საფუძველი;
- გრანსპორტის საშუალებებთან, რომლებიც საბაჟო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დარღვევის ეჭვებს წარმოიშობენ.

მუხლი 5

მიწოდება-შეგყობინება

მთხოვნელი უფლებამოსილი ორგანოს მიმართებით თხოვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანო თავისი კანონმდებლობის შესაბამისად მიიღებს საჭირო ზომებს მის გერიგორიაზე მცხოვრები ან დაფუნდებული ადრესატისათვის ამ ოქმის მოქმედების ფარგლებში ყველა არსებული დოკუმენტის მიწოდებისათვის და ყოველი გაღწევილების შეგყობინებისათვის. მიმართვის შემთხვევაში მოქმედებს მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფი.

მუხლი 6

დახმარებისათვის თხოვნის ფორმა და შინაარსი

- ამ ოქმის თანახმად თხოვნა იგზავნება წერილობითი ფორმით და თან ერთვის ყოველი საჭირო დოკუმენტი. საჭიროებისამებრ, სასწრაფო სიგუაციის შემთხვევაში, შეიძლება მიღებული იყოს ბეპირი თხოვნა, რომელიც დაუყოვნებლივ დადასტურებული უნდა იყოს წერილობით.
- თხოვნა პირველი პარაგრაფის მიხედვით მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
 - თხოვნის მიმცემი უფლებამოსილი ორგანო;
 - ლონისძიებანი თხოვნის საფუძველზე;
 - თხოვნის ობიექტი და მიზმი;
 - ამასთან დაკავშირებული კანონები, წესები და სხვა საკანონმდებლო ელემენტები;
 - მაქსიმალურად ზუსტი და ყოვლისმომცველი მონაცემების მიწოდება იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შესახებ, რომლებიც არიან გამოძიების ობიექტები;
 - შესაბამისი ფაქტებისა და უკვე განხორციელებული გამოძიების რეზიუმე, მე-5 მუხლში მოცემული შემთხვევების გარდა.
- თხოვნა გაგზავნილ იქნება თხოვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანოს ოფიციალურ ენაზე ან ამგვარი ორგანოსათვის მისაღებ ენაზე.
- თუ თხოვნა არ შეესაბამება ფორმალურ მოთხოვნებს, შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს მისი შესწორება ან სრულყოფა; მიუხედავად ამისა შესაძლებელია მიღებულ იქნას წინასწარი გამაფრთხილებელი ზომები.

მუხლი 7

თხოვნების შესრულება

- დახმარებისათვის თხოვნის შესრულების მიზნით, თხოვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანო, იმოქმედებს თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში ისე, თითქოს მოქმედებდა დამოუკიდებლად ან საკუთარი მხარის სხვა უფლებამოსილი ორგანოს თხოვნით, კერძოდ, მიაწოდებს

მთხოვნელ უფლებამოსილ ორგანოს მის ხელთ უკვე არსებულ ინფორმაციას, ჩააგარებს შესაბამის გამოძიებას ან უზრუნველყოფს მის ჩაგარებას. ეს მუხლი ვრცელდება იმ აღმინისგრატიულ ქვედანაყოფზეც, რომელსაც მიმართავს თხოვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანო, თუ ამ უკანასკნელს არ ძალუძს იმოქმედოს დამოუკიდებლად.

2. დახმარებისათვის თხოვნა დაკმაყოფილდება თხოვნის მიმღები მხარის კანონების, წესებისა და სხვა საკანონმდებლო ინსტრუმენტების შესაბამისად.
3. ერთი მხარის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ ოფიციალურ პირებს, მეორე მონაწილე მხარესთან შეთანხმებით და ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი პირობების თანახმად, შეუძლიათ მიიღონ თხოვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანოსაგან ან სხვა ორგანოსაგან, რომელზეც პასუხისმგებელია თხოვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანო, საბაჟო ინფორმაცია კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ, რომელიც სჭირდება მთხოვნელ უფლებამოსილ ორგანოს ამ ოქმის მიზნებისათვის.
4. ერთ-ერთი მხარის ოფიციალურ პირებს შეუძლიათ მეორე მონაწილე მხარის თანხმობით და მის მიერ დადგენილი პირობების ფარგლებში მონაწილეობა მიიღონ ამ უკანასკნელის გერიგორიაზე განხორციელებულ გამოძიებაში.

მუხლი 8

მისაწოდებელი ინფორმაციის ფორმა

1. თხოვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანო გამოძიების შედეგებს მიაწოდებს მთხოვნელ უფლებამოსილ ორგანოს დოკუმენტების, დოკუმენტების დამოწმებული ასლების, ანგარიშების და სხვ. ფორმით.
2. პირველ პარაგრაფში მოყვანილი დოკუმენტები შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერი ფორმით წარმოებული კომპიუტერული ინფორმაციით.

მუხლი 9

გამონაკლისები დახმარების გაწევის ვალდებულებებში

1. მხარეებს შეუძლიათ უარი განაცხადონ ოქმის თანახმად დახმარების გაწევაზე, თუ ასეთმა დახმარებამ შეიძლება:
 - ა) ბიანი მიაყენოს საქართველოს ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს სუვერენიტეტს, რომლებსაც ამ ოქმის დებულებების თანახმად ეთხოვათ დახმარება;
 - ბ) ბიანი მიაყენოს სახელმწიფო პოლიტიკას, უშიშროებას ან სხვა განსაკუთრებულ ინტერესებს, კერძოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც 10(2) მუხლის დებულებებით არის განსაზღვრული;
 - გ) გამოიწვიოს საბაჟო გადასახადის შესახებ საკანონმდებლო აქტებისაგან განსხვავებული სავალდებულო ან საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენება;

ან

- დ) გაამჟღავნოს სამრეწველო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოება.

2. როდესაც მთხოვნელი უფლებამოსილი ორგანო ითხოვს ისეთ დახმარებას, რომლის გაწევაც ამგვარი თხოვნის შემთხვევაში თვითონ არ ძალუძს, იგი ამ ფაქტზე გამახვილებს ყურადღებას თავის თხოვნაში. შემდეგ თხოვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანო თვითონ გადაწყვეტს, თუ როგორ უპასუხოს ამგვარ თხოვნას.
3. დახმარების შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილება და მისი მიღების მიზეზი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მთხოვნელ უფლებამოსილ ორგანოს.

მუხლი 10

ინფორმაციის გაცვლა და კონფიდენციალობა

1. ამ მუხლის თანახმად ნებისმიერი ფორმით გადაცემულ ინფორმაციას კონფიდენციალური ან შეზღუდული ხასიათი აქვს, ყოველი მხარისათვის დამახასიათებელი წესების შესაბამისად. ეს ინფორმაცია დაცული იქნება ოფიციალური საიდუმლოების ვალდებულებით და მიმღები მხარის შესაბამისი მსგავსი ინფორმაციის მიმართ მოქმედი კანონებით, აგრეთვე გაერთიანების ორგანოების მიმართ მოქმედი შესაბამისი დებულებებით.
2. პირადი ინფორმაცია შეიძლება გაიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმღები მხარე კისრულობს ვალდებულებას დაიცვას აღნიშნული ინფორმაცია მიმწოდებელი მონაწილე მხარის მიერ გაგარებულ ეკვივალენტურ ღონებზე.
3. მიღებული ინფორმაცია გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ ამ ოქმის მიზნებისათვის. როდესაც ერთ-ერთი მონაწილე მხარე მოითხოვს ამ ინფორმაციის გამოყენებას სხვა მიზნებისათვის, მან მეორე მხარეს უნდა მოსთხოვოს ინფორმაციის მომწოდებელი უფლებამოსილი ორგანოს წინასწარი წერილობითი თანხმობა. უფრო მეტიც, მან უნდა იმოქმედოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი ნებისმიერი შეზღუდვების ფარგლებში.
4. მე-3 პარაგრაფი არ ეწინააღმდეგება ინფორმაციის გამოყენებას ნებისმიერ იურიდიულ და ადმინისტრაციულ პროცედურებში, რომლებსაც მიმართავენ საბაჟო კანონმდებლობასთან შეესაბამების გამო დაშვებული შეცდომებისათვის. ამ ინფორმაციის მომწოდებელ კომპეტენტურ ორგანოს ეცნობება ასეთი გამოყენების შესახებ.
5. მონაწილე მხარეებს შეუძლიათ ჩვენებების, მოწმობების და მოხსენებების, სასამართლო საქმის წარმოებისა და სასამართლოს წინაშე აღძრული საქმეების შესახებ თავიანთ ჩანაწერებში, გამოცემაში, როგორც მხილებები, ამ ოქმის დებულებების თანახმად მიღებული ინფორმაცია და დოკუმენტები.

მუხლი 11

ექსპერტები და მოწმეები

1. თხოვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანოს ოფიციალური პირი შეიძლება აღჭურვილი იყოს უფლებამოსილებით წარდგეს სასამართლო ან ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას ამ ოქმის მიხედვით მეორე მხარის იურისდიქციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ექსპერტი ან მოწმე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და წარადგინოს საქმის წარმოები-

სათვის საჭირო მგვიცებები, საბუთები ან დამოწმებული ასლები. სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებში ამგვარი წარდგომის თხოვნა ბუსგად უნდა ასახავდეს იმ საკითხს, რომლის შესახებაც ეს პირი იქნება გამოკითხული, აგრეთვე დამკითხავის გიგულს ან კვალიფიკაციას.

2. უფლებამოსილებით აღჭურვილი ოფიციალური პირი ისარგებლებს ისეთივე დაცვის უფლებით, როგორითაც არსებული კანონმდებლობის მიხედვით სარგებლობენ მთხოვნელი უფლებამოსილი ორგანოს თანამდებობის პირები საკუთარ გერიგორიაზე.

მუხლი 12

დახმარების ხარჯები

მხარეები უარს აცხადებენ ამ მუხლის თანახმად გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნაზე, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც საჭიროებისამებრ გაწეულ იქნა სახელმწიფო სამსახურში არმყოფი ექპერტების, მოწმეებისა და თარჯიმნების მიერ.

მუხლი 13

შესრულება

1. ამ ოქმის შესრულება ევალემათ, ერთი მხრივ, საქართველოს ცენტრალურ საბაჟო უფლებამოსილ ორგანოს და, მეორე მხრივ, ევროკომისიის კომპეგენგურ სამსახურებს და, საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილ საბაჟო ორგანოებს. ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებას ოქმის შესრულებისათვის აუცილებელი ყველა ზომისა და ღონისძიების შესახებ, მონაცემების დაცვის სფეროში მოქმედი წესების გათვალისწინებით. მათ შეუძლიათ რეკომენდაცია გაუწიონ კომპეგენგურ ორგანოებს მოცემულ ოქმში შესწორებების შეგანასთან დაკავშირებით.
2. მხარეები გამართავენ კონსულგაციებს და ინფორმაციას მიაწვდიან ერთმანეთს აღსრულების იმ კონკრეტული წესების შესახებ, რომლებიც მიღებულია ოქმის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 14

დამატება

მე-10 მუხლს არ ეწინააღმდეგება, რომ ევროკავშირის ერთ ან მეგ წევრ სახელმწიფოსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმებები ორმხრივი დახმარების შესახებ არ დაარღვევს გაერთიანების იმ დებულებებს, რომლითაც იმართება ევროკომისიის კომპეგენგურ სამსახურებსა და წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილ საბაჟო ორგანოებს შორის საბაჟო საკითხებთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის გაცვლა, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს გაერთიანების ინტერესს.

საბოლოო აქტი

სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა:

ბელგიის სამეფოსი,

ღანის სამეფოსი,

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა,

საბერძნეთის რესპუბლიკისა,

ესპანეთის სამეფოსი,

საფრანგეთის რესპუბლიკისა,

ირლანდიისა,

იტალიის რესპუბლიკისა,

ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოსი,

ნიდერლანდების სამეფოსი,

ავსტრიის რესპუბლიკისა,

პორტუგალიის რესპუბლიკისა,

ფინეთის რესპუბლიკისა,

შვედეთის სამეფოსი,

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის

გაერთიანებული სამეფოსი,

ევროპის გაერთიანების, ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებების მონაწილე მხარეებისა, შემდგომში "წევრ სახელმწიფოებად" წოდებულნი, და

ევროპის გაერთიანებისა, ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებისა და ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანებისა, აქ და შემდგომში წოდებულნი "გაერთიანებად",

ერთი მხრივ, და

საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა,

მეორე მხრივ,

1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში პარგნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერისათვის შეხვედრისას, რომელიც შემდგომ იწოდება "შეთანხმებად", და რომლითაც მყარდება პარგნიორობა, ერთი მხრივ, ევროპის გაერთიანებებსა და მათ წევრ სახელმწიფოებს, და მეორე მხრივ, საქართველოს შორის, მოიწონეს შემდეგი გეჟსტები:

შეთანხმება, მისი დანართები და თანდართული ოქმი:

ოქმი საბაჟო საკითხებში აღმინისგრაციულ ორგანოთა შორის ურთიერთობების შესახებ

წვერი სახელმწიფოებისა და გაერთიანების სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა და საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა მოიწონეს ქვემოთ ჩამოთვლილი და ამ საბოლოო აქტს თანდართული ერთობლივი განცხადებების გეჟსგები:

ერთობლივი განცხადება შეთანხმების მე-6 მუხლთან დაკავშირებით

ერთობლივი განცხადება შეთანხმების მე-15 მუხლთან დაკავშირებით

ერთობლივი განცხადება 25(ბ)-ე და 36-ე მუხლებში ხსენებული "კონგრლის" ცნების შესახებ

ერთობლივი განცხადება შეთანხმების 35-ე მუხლთან დაკავშირებით

ერთობლივი განცხადება შეთანხმების 42-ე მუხლთან დაკავშირებით

ერთობლივი განცხადება შეთანხმების 98-ე მუხლთან დაკავშირებით

წვერი ქვეყნებისა და გაერთიანების სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა და საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს გაცვალონ ამ დასვნიით აქტს თანდართული შემდეგი წერილები:

გაერთიანებასა და საქართველოს შორის წერილები კომპანიების დაფუძნებასთან დაკავშირებით.

წვერი ქვეყნებისა და გაერთიანების სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა და საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა მხედველობაში მიიღეს ამ საბოლოო აქტს თანდართული შემდეგი განცხადება:

საფრანგეთის მთავრობის განცხადება

ერთობლივი განცხადება მე-6 მუხლთან დაკავშირებით

თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ პირობები მოითხოვს შეხვედრას უმაღლეს დონეზე, ეს შეხვედრა გაიმართება ad hoc საფუძველზე.

ერთობლივი განცხადება მე-15 მუხლთან დაკავშირებით

სანამ საქართველო შეუერთდება მსო-ს, მხარეები თანამშრომლობის კომიტეტის ფარგლებში გამართავენ კონსულტაციებს საიმპორტო გარიყების პოლიტიკისა და საგარიყო დაცვაში ცვლილებების შეგანის შესახებ. კერძოდ, ასეთი კონსულტაციები მოეწყობა საგარიყო დაცვის გაზრდამდე.

ერთობლივი განცხადება 25(ბ)-ე და 36-ე მუხლებში ხსენებული "კონგრლის" ცნების შესახებ

1. მხარეები ადასტურებენ თავიანთ თანხმობას, რომ კონგრლის საკითხი თითოეული შემთხვევის ფაქტობრივ თავისებურებებზე არის დამოკიდებული.
2. მაგალითად, კომპანია მიიჩნევა, როგორც მეორე კომპანიის "კონგრლს დაქვემდებარებული", შესაბამისად ამ კომპანიის შეიღეული საწარმოც, იმ შემთხვევაში, თუ:
 - მეორე კომპანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ხმათა უმეტესობას, ან

- მეორე კომპანიას აქვს უფლება დანიშნოს ან გაათავისუფლოს ადმინისტრაციული ორგანოს, მენეჯმენტის ორგანოს ან ზედამხედველი ორგანოს უმრავლესობა, და იმავედროულად არის აქციონერი ან ფილიალის წევრი.

3. ორივე მხარე მე-2 პარაგრაფის კრიტერიუმებს არ მიიჩნევს ამომწურავად.

ერთობლივი განცხადება 35-ე მუხლთან დაკავშირებით

მხოლოდ გარკვეული მხარის მოქალაქეებისა და არა სხვა მხარეთა მოქალაქეებისათვის ვიზის მოთხოვნის ფაქტი არ იქნება მიჩნეული, როგორც გარკვეული ვალდებულებებიდან გამომდინარე სარგებლიანობის ნულიფიცირება ან დარღვევა.

ერთობლივი განცხადება 42-ე მუხლთან დაკავშირებით

შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ ინგელექტუალური, კომერციული, სამრეწველო საკუთრება, კერძოდ მოიცავს საავტორო უფლებებს, მათ შორის კომპიუტერულ პროგრამებზე საავტორო უფლებას, და მომიჯნავე უფლებებს, პატენტებთან, სამრეწველო დიზაინთან, გეოგრაფიულ მაჩვენებლებთან დაკავშირებულ უფლებებს, წარმოშობის, სავაჭრო ნიშნებისა და მომსახურების ნიშნების, ინგეგირებული ციკლის გოპოგრაფიების, აგრეთვე არასამართლიანი კონკურენციისაგან დაცვას, როგორც ეს მოხსენიებულია პარიზის სამრეწველო საკუთრების შესახებ კონვენციის მე-10 bis მუხლში, და "ნოუ-ჰაუს" გაუმჟღავნებელი ინფორმაციის დაცვას.

ერთობლივი განცხადება 98-ე მუხლთან დაკავშირებით

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მართებული ვაგებისათვის და პრაქტიკული გამოყენებისათვის გერმინი "გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევაში", რომელსაც შეიცავს 98-ე მუხლი ვულისხმობს ერთ ერთ მხარის მიერ შეთანხმების მაგერიალურ დარღვევას.

შეთანხმების მაგერიალური დარღვევა ნიშნავს:

- ა) შეთანხმების უარყოფას, რაც საერთაშორისო სამართლის კანონებით ნებადართული არ არის ან
- ბ) მე-2 მუხლში წარმოდგენილი შეთანხმების ძირითადი ელემენტების დარღვევას.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ 98-ე მუხლში ხსენებული "შესაბამისი ზომები" საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად მიღებული ზომებია. თუ მხარე გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევაში მიიღებს ზომებს 98-ე მუხლის თანახმად, მეორე მხარეს შეუძლია მიმართოს დავის გადაწყვეტის პროცედურას.

გაერთიანებასა და საქართველოს შორის წერილების გაცვლა კომპანიების დაფუძნებასთან დაკავშირებით

ა. საქართველოს მთავრობის წერილი

ძვირფასო ბაგონო,

მოგმართავთ პარგნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომელიც პარაფირებულია 1995 წლის 15 დეკემბერს.

როგორც აღვნიშნე მოლაპარაკების დროს, საქართველო გაერთიანების კომპანიებს დაარსებისა და საქმიანობისათვის ანიჭებს პრივილეგიებს გარკვეულ შემთხვევებში. ჩემი აზრით, ეს არის გამოხატულება საქართველოს პოლიტიკისა, რათა ყოველნაირად შეუწყოს ხელი გაერთიანების კომპანიების დაფუძნებას საქართველოში.

ამის გათვალისწინებით, ჩემი აზრით, შეთანხმების პარაფირებასა და კომპანიების დაფუძნებასთან დაკავშირებული შესაბამისი მუხლების ძალაში შესვლამდე არსებულ პერიოდში, საქართველო არ მიიღებს ისეთ ზომებს ან ნორმატიულ აქტებს, რომლებიც შეცვლიან შეთანხმების პარაფირებისას არსებულ სიგუაცეას გაერთიანების კომპანიებისათვის საქართველოს ან მესამე ქვეყნის კომპანიებთან მიმართებაში, დისკრიმინაციის დაწესების ან მისი გაუარესების მიმართულებით.

დავალებული ვიქნები, თუ დაასტურებთ ამ წერილის მიღებას.

მიიღეთ, ბაგონო, რწმუნება ჩემი ღრმა პატივისცემისა.

საქართველოს მთავრობის სახელით

ბ. ევროპის გაერთიანების წერილი

ძვირფასო ბაგონო,

მაღლობას მოგახსენებთ თქვენი დღევანდელი წერილისათვის, რომელიც შემდეგნაირად ითხოვს:

"მოგმართავთ პარგნირობისა და თანამშრომლობის შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომელიც პარაფირებულია 1995 წლის 15 დეკემბერს.

როგორც აღვნიშნე მოლაპარაკების დროს, საქართველო გაერთიანების კომპანიებს დაარსებისა და საქმიანობისათვის ანიჭებს პრივილეგიებს გარკვეულ შემთხვევებში. ჩემი აზრით, ეს არის გამომხატველი საქართველოს პოლიტიკისა, რათა ყოველნაირად შეუწყოს ხელი გაერთიანების კომპანიების დაფუძნებას საქართველოში.

ამის გათვალისწინებით, ჩემი აზრით, შეთანხმების პარაფირებასა და კომპანიების დაფუძნებასთან დაკავშირებული შესაბამისი მუხლების ძალაში შესვლამდე არსებულ პერიოდში, საქართველო არ მიიღებს ისეთ ზომებს ან ნორმატიულ აქტებს, რომლებიც შეცვლიან შეთანხმების პარაფირებისას არსებულ სიგუაცეას გაერთიანების კომპანიებისათვის საქართველოს ან მესამე ქვეყნის კომპანიებთან მიმართებაში დისკრიმინაციის დაწესების ან მისი გაუარესების მიმართულებით.

დავალებული ვიქნები, თუ დაასტურებთ ამ წერილის მიღებას".

მე შემიძლია დავადასტურო თქვენი წერილის მიღება.

მიიღეთ, ბაგონო, რწმუნება ჩემი ღრმა პატივისცემისა

ევროპის გაერთიანების სახელით

საფრანგეთის მთავრობის განცხადება

საფრანგეთის რესპუბლიკა აღნიშნავს, რომ ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოსთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება არ ეხება ევროპის გაერთიანებასთან ასოცირებულ ზღვისგალმა ქვეყნებსა და გერიგორიებს.